ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509
3
1991

645
1991



ნინელი ჭანკვეტაძე:
ადამიანს ყველას
ვენდობი

გვ. 12


მჯერა პარლამენტის ბრძოლისუნარიანობის

გვ. 2

სექსი — აკრძალული ხილი?

გვ. 5

როგორი დედა ვარ?

გვ. 6

ვარსკვლავის ამობრწყინება

გვ. 16

კოკორი — საყმაწვილო გვერდი

გვ. 17

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
მხატვრულ-
ლიტერატურული
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ლია ანდღულაძე,
ნაზი თარბამაძე,
მაია თომაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
ნანა ოგოლაძე,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე —
მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე,
იური რიდალიოვის ფოტო

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომ-
ცემლობა „სამშობლო“, მ. კოსტავას ქ. 14


## ნომერშია:




მადონა
გვ. 3


განა საოცრება
არ
არის
ვანგას ფენომენი?
მადონა
ახალგაზრდა
ქართველი ქალია და...


თქვენთვის,
მშვენიერო
მანანებო!

გვ. 15





სექსი —
აკრძალული
ხილი?

გვ. 5





ბავშვის დაბადებამდე
გვ. 20

აქეთური — იქითური
გვ. 28


ვიდრე
საუბარს
დავიწყებდეთ

უცხოური
კინოკალეიდოსკოპი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გატონი ზვიად გამსახურდია და ქალბატონი მანანა არჩვაძე ხმას აძლევენ საქართველოს დამოუკიდებლობას

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტოები



# დიახ, გვსურს!

არასოდეს ისე დაგეჯითებით, სიამოვნებითა და სიამაყით არ წარმოგვითქვამს ეს მოკლე სიტყვა „დიახ“, როგორც აგერ ახლახან, 1991 წლის 31 მარტს — საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის შეკითხვაზე, რომელზეც პასუხის გაცემას მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ნატრობდა ქართველი: დიახ, მსურს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოში რეფერენდუმის ყველა ეროვნების მონაწილეთა 98,9 პროცენტმა უპასუხა „დიახ“.

დიახ, გატონებო, დიახ და სამგზის დიახ! ნუთუ კიდევ დარჩა რაიმე. საჭოჭმანო და გაუგებარი? თუმცა ვისაც დანახვა არ სურს, რიყეზე კენჭსაც ვერ დაინახავს. ნუ დაინახავს.

ასჯერაც რომ გვკითხოთ, პასუხი ერთი გვაქვს:

დიახ!
დიახ!
დიახ!





# მჯერა პარლამენტის ბრძოლისუნარიანობის

**დაპირებისამებრ ვიწყებთ ციკლს „ინტერვიუ პარლამენტარ ქალთან"**



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი მაია მაჭავარიანი აქტიურად არის ჩაბმული საპარლამენტო საქმიანობაში, ახალი კანონების განხილვა-დამტკიცებაში. ეს დიალოგი სესიის ერთ-ერთი სხდომის დამთავრების შემდეგ შედგა.

**— ქალბატონო მაია, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში თითქმის ყველაფრის დეფიციტი იგრძნობა. ამჟამად მხედველობაში არ მაქვს სურსათ-სანოვაგის, სამრეწველო საქონლის ნაკლებობა. უფრო შემაშფოთებელია ეროვნულ ძალთა დაქსაქსულობა.**

— ჩვენ, ქართველებმა, სხვებთან ერთად სამოცდაათი წლის მანძილზე მეტად რთულად ვიცხოვრეთ. ბევრ რამეში გვიჭირდა, ბევრი რამ გვაკლდა. მაგრამ ყველაზე სავალალო ის გახლდათ, რომ ადამიანის ზნეობრივი საყრდენები შეირყა, რამაც გამოხატულება პოლიტიკურ ვნებათაღელვაში ჰპოვა.

**— მაგრამ ყოველივე ეს ეროვნული ერთიანობის საზიანოდ ხომ არ უნდა ხდებოდეს?**

— მრავალპარტიულ არჩევნებში გარკვეულმა პარტიებმა უპირატესობა მოიპოვეს, ნაწილი ხელმოცარული დარჩა. შეუძლებელია ამას პოლიტიკური კლიმატის შეცვლა არ გამოეწვია. ბევრმა მშრომელმა, ინტელიგენტმა, რომლებიც თავიდან „მრგვალი მაგიდის" მომხრე არ იყვნენ, პოზიცია შეიცვალეს, მხარში ამოუდგნენ ხელისუფლებას, მთელ ქართველ ხალხს, რომელსაც ახლა ძალზე უჭირს. ეს პატრიოტის ვალია.

**— რით ახსნით ამ პროცესებს?**

— ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებით. მთავარია ადამიანში მამულიშვილურმა გრძნობამ გაიღვიძოს. ჯანსაღი ფერიცვალებაც ხომ ამის შედეგია. მე პირადად მაღელვებს ის გარემოება, რომ ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი არ დაადგა შემოქმედებითი განახლების გზას და ერთგვარ შემგუებლობასა და ინერტიულობას იჩენს. ვერ გამიგია, რა უდევს საფუძვლად ამას. ახლა უმოქმედობის დრო არ არის. ყველამ ერთნაირად უნდა იგრძნოს, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია დღეს საქართველო. ასეთ სიტუაციაში უმოქმედობა გაუგებარია.

**— მით უმეტეს, რომ ახლა გონიერი და პატიოსანი ადამიანები განსაკუთრებით გვჭირდება.**

— მეც ეს მაღელვებს. ერთიანობის მადლი საზოგადოების თითოეულ წევრს კარგად როდი აქვს შეგნებული. ეს სერიოზული ნაკლია. მაგრამ ვინც მამულიშვილური გრძნობით არის აღსავსე, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმ გზის გასაკაფად, რომელსაც თავისუფლებისაკენ მივყავართ. ჯერჯერობით მთავარია ახალი კანონების შემუშავება და შემდეგ კი მათი განხორციელება, რაც უამრავ სირთულესთან არის დაკავშირებული.

**— რა მიგაჩნიათ მთავრად და განმსაზღვრელად მომავალ მუშაობაში?**

— ალბათ, გახსოვთ, არჩევნებამდე თავისუფლებისათვის ბრძოლის პარლამენტარულ გზას ბევრი აღიარებდა. აი, ავირჩიეთ პარლამენტი, და სამწუხაროდ, ყველა როდი გაჰყვა მას. ეროვნული პარლამენტისადმი მხარში ამოდგომის ნაცვლად, ზოგი პირიქით, ხელს გვიშლის თავისი უმართებულო მოთხოვნებით. მიღებული ეროვნული კანონები საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას ემსახურება. ჩვენ არც ერთი ანტიეროვნული კანონი ან აქტი არ მიგვიღია, ეს ხომ რეალობაა. მე მჯერა ჩვენი პარლამენტის ბრძოლისუნარიანობის. მინდა უფრო მტკიცედ, დაფიქრებით ვწყვეტდეთ ყოველდღიურ თუ გამწვავებულ პრობლემას, ერთმანეთისაგან ვარჩევდეთ ძირითადსა და მეორეხარისხოვანს.

ახლა მთავარია პარლამენტს შევუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები. ამიტომ მივმართავთ ყველას, მიუხედავად მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს, სრული ურთიერთგაგებით ვაკეთოთ საერთო საქმე. სხვაგვარ მოქცევას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

ესაუბრა **შალვა ბულუა**

# მადონა



1976 7

ორიოდე თვის წინ ჩემთან, რედაქციაში მოვიდა მშვენიერი ახალგაზრდა ქალი მადონა კინწურაშვილი, რომელმაც მითხრა, რომ აქვს ნათელმხილველის ნიჭი და თავისუფლად შეუძლია ამოიცნოს თანამოსაუბრის ცხოვრება, თან არა მხოლოდ წარსული, არამედ ისიც, რაც მომავალში ელის.

პირველი რეაქცია, რაც ვფიქრობ ჩემს ადგილზე ყველას გაუჩნდებოდა და, ცხადია, მეც გამიჩნდა, სკეპსისთან ერთად იყო ცნობისმოყვარეობაც — რა არ ხდება ამ ჩვენს განათლებულ და ბევრ რამეში მაინც სიბნელით მოცულ სამყაროში.

განა საოცრება არ არის ვანგას ფენომენი? განა თავის დროზე უნდობლობანარევი ცნობისწადილით არ შეხვდნენ ჯუნას ფენომენს? საჯაროდ. პრესაში აქიაქებდნენ, ჩუმად ეხვეწებოდნენ: მიმიღე და მიმკურნალეო. განა სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ოფიციალური მედიცინა თითქმის შარლატანებად არ თვლიდა ყველას, ვისაც ახლა მორცხვად „არატრადიციული მეთოდებით მომუშავე მკურნალებს“ უწოდებენ? საქმე იქამდე იყო მისული, რომ უმდიდრესი ხალხური მედიცინაც კი თითქმის სულს ლაფავდა.

ეჰ, რამდენი ერთი ვთქვათ, მოგვიწია ისეთ დროში ცხოვრება, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯანლი გაიფანტა. დადგა დრო, როცა „მე არ ვიცი“ არ ნიშნავს „არ არსებობს“.

ქართველმა კაცმა მოხერხებულად შენიშნა „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

ამ ინერციით შეპყრობილებს რამდენი საოცარი უნარი, რამდენი არაორდინალური ნიჭი და საერთოდ, რამდენი ღვთის ნიშანდებული ადამიანი დაგვრჩა ყურადღებამიუქცეველი და ფაქტობრივად ერისთვის დაკარგული? ისღა დაგვრჩენია, ამ ცოდვისათვის პატიება ვთხოვოთ უფალს.

ჰოდა, ეს რომ გამახსენდა, მეტი გულისხმიერებით მივუგდე ყური ჩემს მშვენიერ სტუმარს.

მადონა ხონში ცხოვრობს. 8 წლის ბიჭის დედაა... სპეციალური სამედიცინო ან უმაღლესი განათლება არ მიუღია. ლაპარაკობს დინჯად და დამაჯერებლად, თან ემოციურად. მომენტებში უფრო ადვილად „იხსნება“, ე. ი. უფრო დაუძაბავად, მკვეთრად და ადვილად ხედავს მის წინ მჯდომი ადამიანის სატკივარს, წარსულში მომხდარ ფაქტს, ხედავს



საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

მის ბინას, ახლობლებს და, რაც უფრო საინტერესოა, მომავლის ფრაგმენტებს.

ხელთა მაქვს ჯანდაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სამეცნიერო ონკოლოგიური ცენტრის თანამშრომლების ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც თითქმის მთლიანად დადასტურებულია ჩემს მიერ ზემოთ თქმული. ნათქვამია აგრეთვე, რომ ტეპლოვიზური გამოკვლევის შემდეგ მ. კინწურაშვილის სახემ დააფიქსირა 1,0° ცელსიუსამდე ინფრაწითელი ემისიის გადიდება თვალის არეში წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამოცნობის შემდეგ, რაც შემჩნეული არ იყო სეანსის დაწყებამდე.

ექსპერიმენტის მონაწილენი თვლიან: „იმისათვის, რომ მთლიანად გამოირკვეს მადონა კინწურაშვილის ფენომენი, საჭიროა ჩატარდეს გულმოდგინე გამოკვლევა კომპეტენტური სპეციალისტების ჩარევით, ობიექტური მეთოდებით“.

ეს გახლავთ მეცნიერთა დასკვნა.

მე პირად შთაბეჭდილებაზე მოგახსენებთ.

პატარა ქალბატონმა ჩემი მომავლის წინასწარმეტყველებისას ისეთი რამ მითხრა, რაც იმ ხანებში სრულებითაც არ იყო მოსალოდნელი და შემწყნარებლური ღიმილით მოვისმინე, რადგან არ მინდოდა სტუმრის წყენინება ან უნდობლობის გამოჩენით გულის ტკენა.

მაგრამ მადონასაგან დათქმულ დროში — თვენახევარში იმდენი და ისეთი რამ გადამხდა, რაც ჩემმა მშვენიერმა სტუმარმა მიწინასწარმეტყველა, რომ მართალი გითხრათ, დიდად გავვოცდი. ხოლო, როცა ზოგი რამ აწ უკვე მომხდარიდან შეიტყო, მადონა ხელახლა მესტუმრა და უფრო დაწვრილებით მიამბო ყოველივე ჩემს თავს გადახდენილი, რაც მაშინ ჩემთან საუბრისასაც დაუნახავს, მაგრამ ზოგ რამეში დამზოგა და იმჟერად ბოლომდე არ მითხრა.

რედაქციაში პატარა ექსპერიმენტი ჩავატარეთ და ზედმეტი რომ არ ვთქვათ, ყველას ის გრძნობა დაგვეუფლა, რომელსაც მარტო გაოცებას ვერ დავარქმევთ.

რასაკვირველია, არ მინდა ჩვენი აზრი და გრძნობა თავს მოგახვიოთ. ცხოვრება წინაა. მადონასათვის — მითუმეტეს. ის მხოლოდ 25 წლისაა. უბრალოდ დაიხსომეთ ეს სახელი.

იქნებ დრო დადგეს და იგი საქართველოს ფარგლებს გარეთაც ისეთი მოწიწებანარევი გაოცებით ითქვას, როგორც ახლა ამბობენ სახელს ვანგა.

ნარგიზა მგელაძე

# მეციტრუსეები... თევზს გვპირდებიან...
## ანუ რა ძვირად ფასობს გერგილიანობა

მარტილაც, საიდან სადაო... სად გალის რაიონი, რომელიც ციტრუსებითა და ჩაით არის ცნობილი და სად თევზჭერა. მაგრამ ჩვენს საოცარ დროში ყოველივე ეს მჭიდრო ურთიერთკავშირშია და საბაზრო ეკონომიკამ დააკავშირა.

„საუნი“ ეწოდება გემს, რომელიც გალელებმა იყიდეს. იგი 200 ტონის ტევადობის თევზსაჭერი სეინერია და კონსერვებს ამზადებს. ეკიპაჟში 30 კაცია. ვიდრე გალელები იყიდდნენ, „საუნი“ საკავშირო საზღვაო ფლოტისა იყო. თევზის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს ლიცენზიითა და კვოტით სერავდა ბარენცის ზღვას. 4,5 მილიონი მანეთი გადაიხადეს გალელებმა გემში, ლიცენზიასა და კვოტაში. „საუნი“ იანვარში ფოთის ნავსადგურში შემოვიდა და ახალ სამშობლოში თავისი პირველი პროდუქციის ნაწილი შემოიტანა. პროდუქციის დიდი ნაწილი კი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში ვალუტაზე გაიყიდა.

სხვისა არ ვიცი, ჩემში კი აღტაცებას იწვევს გალელთა კომერციული ალღო, გამჭრიახობა და გერგილიანობა.

საქმე კი ასე აეწყო. გალელი ოთარ ადამია კარგა ხანს მოღვაწეობდა მურმანსკში. ახლა, შინ რომ დაბრუნდა, აგროსამრეწველო კომბინატ „გალის“ ხელმძღვანელობას ერთობლივი მცირე საწარმოს შექმნა შესთავაზა. გალელებს თავიდან, ცოტა არ იყოს, ფანტასტიკურად მოეჩვენათ მისი მიზნები, მაგრამ წყნარი და მშვიდი ახალგაზრდა კაცი ნდობას იმსახურებდა და ენდნენ. მცირე საწარმომ ბანკის ვალი აიღო, რაც საკმაოდ დიდი კომერციული რისკი იყო. იმასაც დასძენენ 4,5 მილიონს გემი ერთი რეისით აანაზღაურებსო. ამას წინათ ოთარ ადამია პროდუქციის უფრო სარფიანად გასასყიდად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

როცა გალელებმა გემის, თევზჭერის, ლიცენზიისა და კვოტის ყიდვის საბუთი გააფორმეს და ნაყიდი გემის მისაღებად მივიდნენ, ადგილობრივ მაფიასთან საკმაოდ სერიოზული შეხლა-შემოხლაც მოსვლიათ. მაგრამ, მათ თავიანთი კანონიერი უფლებების დაცვა შესძლეს. არც მაფიოზებს შეუშინდნენ, არც მათი იარაღის ელარუნს.

ბრძოლისუნარიანობაც საჭირო ყოფილა და გვჯერა, რომ საქართველოს ალმით გალელთა გემი დიდხანს იცურებს ბარენცის ზღვაში. ჩვენს დაცარიელებულ მაღაზიებს თევზის კონსერვებს მოაწვდის, მაგრამ, მთავარია ის იმედი, რომელსაც გალელთა მიერ ორგანიზებული ეს საქმე აღგვიძრავს.

რა თქმა უნდა, გემის შეძენა და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში თევზჭერის უფლების მოპოვება, მარტო გალელთა გერგილიანობის წყალობით ვერ მოხერხდებოდა. სხვათაგან საქართველოს სიყვარულით ხომ მითუმეტეს. ცენტრის მმართველობამ თვითონ შექმნა ეკონომიკის მოშლისა და ზარალიანი წარმოების საფუძვლები. „საუნის“ საქმიანობა რომ მომგებიანი ყოფილიყო, ცხადია, მას არავინ არაფერს მიჰყიდდა, მაგრამ, შენახვა ცენტრს უკვე აღარ შეეძლო, მოგებას ვეღარ აძლევდა და ამიტომაც არჩია მისი გაყიდვა.

მალალფარდოვნად ამას ეკონომიკის დემოკრატიზაცია ეწოდა. სინამდვილეში თავისუფალმა საბაზრო ეკონომიკამ გზა თავისით გაიკვლია. თუმცა, წინააღმდეგობები ჯერ კიდევ ბევრია და, როგორც ჩანს, ისინი კარგა ხანსაც გასტანს.

გალელებს კანონიერად ნაყიდი გემის დასაუფლებლად მაფიასთან შეხლა-შემოხლა რომ მოუხდათ, ეს საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა უწესრიგობამ გამოიწვია და არავინ იცის, მოვლენები შემდგომშიც როგორ განვითარდება. ამ თვალსაზრისით, გალელების მიერ გადადგმული ნაბიჯი მართლაც დიდ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ რისკიც ხომ კეთილშობილური რამ არის, მით უფრო, თუ ის გონივრულია და ხალხის საკეთილდღეოდ არის გამიზნული.

ანზორ ფუხაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექსი — აკრძალული ხილი?

# ვიდრე საუბარს დავიწყებდეთ



როდენი. „რომეო და ჯულიეტა“

საზოგადოებაში ადამიანის სექსუალობის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. მათ შორის ბევრი მცდარი. არადა, ამ საკითხში გაუთვითცნობიერებლობა ხშირად იწვევს ავადმყოფურ მდგომარეობას, მეუღლეთა შორის კონფლიქტურ სიტუაციებს, ხელს უწყობს ბავშვთა არასწორ აღზრდას. ამ თემაზე ოფიციალური საუბარი ჩვენში იმდენად მიუღებელი იყო, რომ მხოლოდ სიტყვა, „სექსის“ გაგონებაზე წამოზრდილი შვილების მშობლებს, სკოლის პედაგოგებს, შიშით და იმის გამო, რომ არ იცოდნენ როგორ ეპასუხათ შეკითხვაზე, თვალები უფართოვდებოდათ და უმწეო მდგომარეობაში ცვიოდნენ.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა. ვენერიულ სნეულებათა და მეოცე საუკუნის „შავი ჭირის“ — შიდსის ფართოდ გავრცელება, რაც დაკავშირებულია ადამიანის სექსუალურ ქცევასთან, აუცილებელს ხდის საზოგადოების სწორ ინფორმირებას სექსოლოგიის საკითხებზე.

ადამიანის სექსუალობა რთული ფენომენია. იგი ადამიანის ყოფიერების ყველა სფეროსთან არის დაკავშირებული.

ვიდრე უშუალოდ ადამიანის სექსუალობის ცნებას შევეხებოდეთ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სექსოლოგია, სექსოპათოლოგია და ეროტოლოგია.

სექსოლოგია არის დარგი, რომელიც შეისწავლის სქესთა ურთიერთდამოკიდებულებას, მათ ნორმასა და პათოლოგიას, ფსიქოლოგიურ და კულტურულ ფაქტორთა მოქმედების თვალსაზრისით.

სექსოპათოლოგია შეისწავლის სქესობრივ დარღვევათა ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მიზეზებს და შეიმუშავებს სქესობრივ დარღვევათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდებს.

ეროტოლოგია იკვლევს ეროტული განცდის აღმოცენებისა და განვითარების მიზეზებს.

სქესი და სექსუალობა ორი სხვადასხვა ცნებაა.

სქესი არის ბიოლოგიურ ფაქტორთა ერთობლიობა (სასქესო ქრომოსომები, ჰორმონები, სასქესო ჯირკვლები, გარეგანი და შინაგანი სასქესო ორგანოების ანატომიური სტრუქტურები), რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ბიოლოგიურ სქესს.

სქესის ცნება დაკავშირებულია ადამიანის გამრავლებასთან, ხოლო სექსუალობა თავისი შინაარსით, სულაც არ არის აუცილებელი გამრავლებისათვის.

სექსუალობა გულისხმობს სიყვარულისა და ინტიმური ლტოლვის, სიახლოვის მოთხოვნილებას და ეროტული განცდის უნარს.

ვიდრე დავიწყებდეთ საუბარს სექსოლოგიის აუცილებელ საკითხებზე, მანამდე გვინდა მოკლედ შევეხოთ ქალთა სექსუალობის იმ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც დაკავშირებულია სქესობრივი ცხოვრების დაწყებასთან. ამ დროს ხშირ შემთხვევაში ქალიშვილი შეზღუდულია, ვერ ახერხებს სექსუალობის თავისუფალ გამოვლენას (რაც ერთის მხრივ, განპირობებულია მოსალოდნელი ტკივილის შიშით, მეორეს მხრივ — სიმორცხვით), რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მასზეც და მეუღლეზეც. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია არასრულფასოვანი სქესობრივი ურთიერთობა, რაც შესაძლოა შემდგომშიც გაგრძელდეს და ძალად დაასნდეს მეუღლეთა ურთიერთობას. მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ექიმ-სექსოლოგის კონსულტაცია.

დავით როგაქიძე
ექიმი-სექსოლოგი

სექსი — აკრძალული ხილი?

რედაქციისაგან: ამ საკითხებზე სასაუბროდ ჟურნალში მოვიწვევთ სპეციალისტებს, რომლებიც უპასუხებენ თქვენს შეკითხვებს და მოგაწვდიან საჭირო ინფორმაციას ისეთ თემებზე, რომლებიც საზოგადოების სათანადო გაუთვითცნობიერების გამო აკრძალულ ხილად ითვლებოდა და უნდა ითქვას, ზოგი ახლაც მკრეხელობად თვლის მასზე საჯარო საუბარს.



# საოჯახო ტესტი



ყოველი კითხვის გასწვრივ პასუხების ნაცვლად დაწერეთ 0-დან 5-მდე ქულები. თუ ქულათა ჯამი მიაღწევს 100-ს, გამოდის, რომ იდეალური ხართ. მაშასადამე, თავსაც ატყუებთ და სხვებსაც. კიდევ ერთხელ მიუბრუნდით ტესტს და ეცადეთ უფრო სამართლიანი იყოთ. მიღებული ქულათა ჯამი დაწერეთ სხვა ფურცელზე და ახლა ქმარს თხოვეთ შეგაფასოთ იგივე ტესტით. გულს ნუ გაიტეხთ, თუ თქვენი მეუღლის შედეგი ქულებში ძალიან დაბალი აღმოჩნდება. მიუმატეთ იგი თქვენს ქულათა ჯამს და მიღებული რიცხვი ორზე გაყავით. თუ თქვენც და თქვენი მეუღლეც გულახდილნი იქნებით საკუთარი თავისა და ერთმანეთის მიმართ, მაშინ გაიგებთ ისეთ რამეს, რაც სიმართლესთან ახლო იქნება. ასევე მოიქეცით მეორე (ქმრის) ტესტის შევსებისას, ვფიქრობთ, მისთვისაც საინტერესო იქნება საკუთარ თავზე სიმართლის გაგება.

## ტესტი ცოლისა

1. შეგიძლიათ თუ არა შთააგონოთ მეუღლეს რაიმე სამუშაოს შესრულება, ისე, რომ ეს არ გავდეს ზეგავლენის მოხდენას მასზე?

2. ზრუნავთ თუ არა იმაზე, რომ გარეგნობითა და საქციელით ისეთივე მიმზიდველი იყოთ მეუღლისათვის, როგორიც ქორწინებამდე იყავით?

3. იჩენთ თუ არა ყურადღებას ქმრის ნათესავების მიმართ და შეგიძლიათ თუ არა თქვენი უსიამოვნებანი დაუმალოთ საკუთარ მშობლებს და ნათესავებს?

4. დარწმუნებული ხართ, რომ არასოდეს აბეზრებთ ქმარს თავს წვრილმანებით, რომლებიც მას სიცოცხლეს უწამლავს?

5. ეპყრობით თუ არა მოთმინებით თქვენი მეუღლის ინტერესებს და გართობებს, თუ ეს უკანასკნელი ფულის ხარჯვასთანაა დაკავშირებული?

6. მოკლებულია თუ არა თქვენი სექსუალური ცხოვრება არაჯანსაღ თვითკონტროლს თქვენი მხრიდან?

7. შეგიძლიათ გამოიჩინოთ ქმრის სამუშაოს მიმართ გულწრფელი დაინტერესება და თავი შეიკავოთ რჩევებისა და კრიტიკისაგან, როცა ამის შესახებ არ გეკითხებიან?

8. დარწმუნებული ხართ, რომ მეუღლე თქვენით ისეა დაინტერესებული, რომ სიამოვნებით გიძღვნით თავისუფალ დროს?

9. შეგწევთ უნარი იყოთ საინტერესო მოსაუბრე მის მეგობრებთან?

10. თქვენი დანახარჯი ხომ არ აჭარბებს თქვენსავე შემოსავალს?

11. გაქვთ რაიმე ვალი, რომლის შესახებაც ქმარმა არაფერი იცის?

12. თვლით თუ არა, რომ თქვენი ხელფასების პირობაზე სახლი მყუდროდ და სასიამოვნოდ გაქვთ მოწყობილი?

13. შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ არ ეჭვიანობთ ქმარზე და არც მას აძლევთ ეჭვიანობის საბაბს?

14. შეგიძლიათ თუ არა, ესაუბროთ მეუღლეს თქვენს ინტიმურ მოთხოვნილებაზე უხერხულობის გრძნობის გარეშე?

15. ისწრაფვით თუ არა, რომ მისი მშობლებისა და ნათესავებისათვის იყოთ საყვარელი და კეთილი?

16. შეგიძლიათ პატიოსნად თქვათ, რომ არასოდეს არაფერი მოგითხოვიათ ქმრისგან ისეთი, რომელიც მას ხასიათს გაუფუჭებდა, თქვენ კი — პირიქით გაგახალისებდათ?

17. მართალია, რომ თქვენი სამსახურის თავისებურებების გამო არ შეგიძლიათ კარგი დიასახლისობა?

18. შეგიძლიათ მიანიჭოთ ქმარს იმდენი თავისუფლება, რამდენსაც თქვენთვის ითხოვთ?

19. ხართ თუ არა წინააღმდეგი, რომ თქვენს ქმარს ჰქონდეს საკუთარი ჯიბის ფული, რომლის ანგარიშსაც არ ჩაგაბარებთ?

20. ზრუნავთ თუ არა თქვენი მეუღლის გარეგნობაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მისთვის სულერთია?

## ტესტი ქმრისა

1. ემხრობით თუ არა პრინციპს, რომ თქვენი ცოლი პიროვნებაა თავისი შეხედულებებით, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა თქვენსას?

2. ხომ არ ღიზიანდებით, როცა ცოლი ცდილობს თქვენს გარდა სხვასაც მოსწონდეს?

3. დარწმუნებული ხართ, რომ არც ცოლს, არც შვილებს არ უწევთ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა თქვენთან ურთიერთობისას?

4. ინახავთ თუ არა ჯიბის ფულს ისე, რომ ოჯახს არ დააკლოთ?

5. ინარჩუნებთ თუ არა ზომიერების გრძნობას, როცა საქმე ეხება სექსს, სიგარეტს და ალკოჰოლურ სასმელებს?

6. როდესაც მნიშვნელოვან პრობლემებზე ცოლთან მსჯელობთ, იცავთ თუ არა პრინციპს, რომ ერთის აზრი კარგია, მაგრამ ორისა — უკეთესი?

7. დარწმუნებული ხართ, რომ ცოლს ზემოდან არ უცქერით?

8. აძლევთ თუ არა მეუღლეს აბსოლუტურ დამოუკიდებლობას საოჯახო საქმეების მართვაში ისე, რომ არ აკონტროლოთ დანახარჯები?

9. აძლევთ თუ არა ნებას ცოლს, თავისუფლად ხარჯოს ფული წვრილმან, პირად ნივთებზე?

10. ბოლო ათი დღის მანძილზე ერთხელ მაინც თუ შეაქეთ ცოლი თქვენი ყოფის გაუმჯობესების მცდელობისათვის?

11. ყოველთვის გახსოვთ თქვენი ცოლის დაბადების დღე, ქორწინების თარიღი და სხვა ოჯახური დღესასწაულები? აღნიშნავთ თუ არა ამ ზეიმებს საჩუქრით?

12. ზრუნავთ თუ არა, რომ ინტიმური ურთიერთობებისას ისევე დააკმაყოფილოთ ცოლის სექსუალური მოთხოვნილება, როგორც საკუთარი?

13. აუცილებლად თვლით თუ არა მონაწილეობას საოჯახო საქმეებში და ბავშვების აღზრდაში?

14. იკავებთ თუ არა თავს მეუღლის გაკრიტიკებისგან უცხოების, მშობლების ან ბავშვების თანდასწრებით?

15. შეგიძლიათ გამოუტყდეთ საკუთარ თავს, რომ თქვენი ქორწინება ბედნიერია და არ გაცვლით ცოლს არანაირ სხვა ქალში?

16. თავისუფალი დროის გატარებას ცოლთან ამჯობინებთ თუ ამხანაგებთან?

17. თუ ორივენი გრძნობთ, რომ საჭიროა ბავშვთან რაიმე საჩოთირო საქმეზე მოლაპარაკება, თქვენ იღებთ ინიციატივას თუ ცოლს ავალებთ?

18. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ცოლი ძველებურად კარგი შეხედულებისაა თქვენზე?

19. შეგიძლიათ თუ არა, ყოყმანის გარეშე თქვათ, რომ არ ხართ ეჭვიანი?

20. ანიჭებთ თუ არა ცოლს ისეთსავე თავისუფლებას, როგორსაც თქვენთვის თხოულობთ?

თარგმნა ნათია გვასალიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ქუჩუკაშვილი

# უშენი

მოთხრობა

ჩვენი სამუშაო ოთახის ფანჯრები გადასცქეროდა უშენს. მეოთხე სართულზე ვიყავით, დაუმთავრებელ შენობაში. კიბე კიბეს არა ჰგავდა, კედელი — კედელს. კიბეს საფეხურები აკლდა და, მეოთხე წელიწადია აქა ვმუშაობ, ახლაც ასეა. რაც შეეხება დაბრეცილ კედლებს, მას აღარაფერი ეშველებოდა და უნდა შევრიგებოდით ამას. ბოლოს ამ კედლების გალამაზების გზაც გამოჩნდა. ჩვენი თანამშრომლის მამას რაღაც დამოკიდებულება ჰქონია თეატრალურ აფიშებთან და ოთახს გულმისასვლელი იერი დაედო. ჩემი კედელი იმ აფიშით დავამშვენე, რომელზედაც დარეჯან მეფის სასახლეა. ახლა მე ჩემი კუთხე მომწონდა და თითქოს მუშაობითაც უფრო გულიანად ვმუშაობდი. გალამაზება იქით იყოს, სხვა სალაპარაკო გაგვიჩნდა. შესვენებაზე რომელიმე აფიშასთან ვიდექით და ხან ერთ, ხან მეორე სპექტაკლში მონაწილე მსახიობებზე, სცენოგრაფიაზე ვმსჯელობდით, ვკამათობდით.

ოთახში თორმეტნი ვისხედით, აქედან სამი იყო ორმოცს გადაცილებული, ერთი — სამოცს მიტანებული, დანარჩენები ვიყავით ოცდახუთ წლამდე და ცოტა მეტის.

როცა ამ განყოფილებაში დავიწყე მუშაობა, შეიძლება ითქვას, არაფერი ვიცოდი. ინსტიტუტი კი დავამთავრე, მაგრამ აქ სხვანაირად უნდა გამომეჩინა თავი. ინსტიტუტის ცოდნა უკან დარჩა; აქ ჩემი ჩარევა იყო საჭირო, ჩემი გემოვნება, ერთი სიტყვით. საქმისადმი ჩემი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, მე ამისი არც გამოცდილება მქონდა და არც უნარი მეტყობოდა.

ჩვენი განყოფილება შემოქმედებით განყოფილებად ითვლებოდა. განყოფილების ასეთი სახელწოდება კი ჩვენგან მოითხოვდა მუშაობაში რაღაცა სიახლის შეტანას. ამას კი, რა თქმა უნდა, ინსტიტუტის გარეთ მომზადება სჭირდებოდა და ცოტა სხვანაირი ტვინიც. მე მგონი, იქ ვინც ვიყავით, არც განსხვავებული ტვინით გამოვირჩეოდით, და არა მგონია, ინსტიტუტში გავლილი საგნების გარდა სხვა წიგნი აგვეღო ხელში, წარმოიდგინეთ, რას შევქმნიდით ამ განყოფილებას, რომელსაც შემოქმედებითი განყოფილება ერქვა, მაგრამ ნაცნობობითა თუ სხვა რამის წყალობით, ჩვენ მაინც მოვხვდით აქ. მამაჩემმა ყველას თავი მოაბეზრა, მე სწორედ აქ უნდა მემუშავა. რატომ? რითი განვსხვავდებოდი იმათგან, ვინც აქ ვერ მოხვდა? ასე იყო თუ ისე, მე მაინც მოვახერხე ამ განყოფილებაში მუშაობის დაწყება. ხელფასი ჩვეულებრივი იყო, სამაგიეროდ, წელიწადში რამდენჯერმე შეგეძლო მონაწილეობა მიგეღო რომელიმე ქვეყანაში გამოცხადებულ კონკურსში. წინასწარ იტყობინებოდნენ, რა მიზანს ემსახურებოდა ეს კონკურსი, ვიცოდით კონკურსის პირობები. ეს კონკურსები სახალისო იყო; ამ დაბრეცილკედლებიან ოთახიდან უცებ სხვა სამუშაოზე გისვროდა. სხვა მიზანი დგებოდა შენს წინ, სხვა შესაძლებლობას ეხსნებოდა კარი, ცოდნის გაღრმავება და რაღაცის მიღწევა აქ უფრო ადვილი იყო და მოკლე დროში შეიძლებოდა კარგი სპეციალისტი დამდგარიყავი, ვიდრე სხვა მონათესავე სამუშაოზე. ამიტომ მოაწყდა ქვეყანა ამ განყოფილებას. მე მესმის, თავი რად მოვაძულეთ ყველას, ოღონდ აქ მოვხვედრილიყავით, მაგრამ, რა უნდოდა სამოც წელს მიღწეულ არქიტექტორს? ის ვერც ახალს ისწავლიდა ამ კონკურსების წყალობით, ახლის სწავლა მისთვის უკვე დაგვიანებული იყო და ვერც წააქეზებდა სამუშაოდ. სამოცი წლის კაცი არა მგონია, კონკურსმა წააქეზოს, როგორი კონკურსიც უნდა იყოს გამოცხადებული. როცა რომელიმე ჩვენთაგანი ოთახში შემოვარდებოდა და ყველას წამოგვყრიდა ამა თუ იმ ქალაქში გამოცხადებული კონკურსის პირობების ჩამოსათვლელად, ის ადგილიდან არ იძვროდა. თითქოს ყურებში ბამბა ჰქონდა ჩატენილი და არ ესმოდა ჩვენი ლაპარაკი. ის არაფრად აგდებდა ჩვენს ალიაქოთს და მშვიდად განაგრძობდა თავის საქმეს. ჸრც მერე გვეკითხებოდა არაფერს, თითქოს უკვე იცოდა ყველაფერი და ახლა ზედმეტად მიაჩნდა, ჩვენს ლაპარაკში ჩარევა. მართალი გითხრათ, სანდომიანი კაცი არ იყო: საშუალოზე ოდნავ მაღალი, თხელი; ვერ გაიგებდი თმა ჭუჭყიანი ჰქონდა თუ ჭაღარა. სახეზე ჟანგისფერი ჭორფლი ეყარა; ამობურცულ ქუთუთოებში ჩამჯდარ ნაცრისფერ, მოგრძო თვალებში რომ შეგეხედა, თითქოს რაღაც საშინელი ამბავი იცოდა და ახლა შენც გეტყოდა ამას. ამიტომ, როცა მის მაგიდასთან ვიდექი, ვცდილობდი თვალებში არ შემეხედა. რა თქმა უნდა, მეჩვენებოდა. ის ჩვენი ოთახის შუაგულში იჯდა. ჩვენ მის აქეთ-იქით ვისხედით და სულ ადვილად შეგვეძლო მასთან მისვლა; მასთან მისვლა კი ხშირად გვჭირდებოდა და აი, რატომ: როცა რაღაც უბადრუკი პროექტი გავაკეთე, თუმცა სულაც არ მეგონა უბადრუკი და, როგორც სხვებს მიჰქონდათ, მეც მივუტანე დასახედად, მან იმდენი შენიშვნა მომცა, პირი დავაღე. მან ჩემი პროექტი სულ სხვანაირად განავითარა, სხვა მიმართულებით წარმართა და ამიტომ ჩემმა პროექტმა სხვა დანიშნულება და სხვა აზრი შეიძინა. ყველაფერი უბრალოდ მითხრა, სხვათა შორის, ისე რომ ჩემი სუსტი პროექტის გამო უხერხულობა არ მიგრძვნია. როცა ჩემს მაგიდასთან დავბრუნდი და მთელი ორი კვირა თავი არ ამიღია, სულ სხვა რამ გამოვიდა. არც მიფიქრია, ასეთი პროექტი გამეკეთებინა. ახლა მომწონდა, რაც ჩემს წინ იდო, კიდევ მინდოდა მემუშავა და ბოლომდე მიმეყვანა. ჩემს თავს ძალას არ ვატანდი, როგორც სხვა დროს იყო ხოლმე, ახლა თვითონ პროექტი მიწვევდა სამუშაოდ. მან სხვანაირად დამანახა და ეს სხვანაირად დანახული მომწონდა და პროექტს ველარ ვშორდებოდი. ეს პროექტი დემოკრატიული ქვეყნის ერთ ქალაქში გამოცხადებულ კონკურსზე გავგზავნე და მან პირველი ჯილდო მიიღო. მერე კიდევ რამდენიმე ქალაქმა წაიღო. როცა ჩვენს უფროს არქიტექტორს ეს ამბავი ვუთხარი, თითქოს, დანის წვერით პირი ოდნავ გაუჭრესო, კბილების ორი თეთრი ძაფი გამოუჩნდა და მან ხაზი გაუსვა ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე იმ პროექტზე, რაზედაც ის იმხანად მუშაობდა.

მეოთხე ზამთარი იწურებოდა, რაც აქ ვმუშაობდი, და ამ ოთხ ზამთარში რაც გავაკეთე, მხოლოდ მისი დახმარებით და რჩევით გავაკეთე. მეხმარებოდა, მაგრამ ისე მეხმარებოდა, არ იმჩნევდა, რომ ეს დახმარება იყო. ყველგან ხმამაღლა ვლაპარაკობდი, მე მისი მადლობელი ვიყავი, უმისოდ ვერ მივიღებდი ამ ჯილდოებს, რისი პატრონიც წელიწადში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც ვხდებოდი და ერთ წელიწადს სამ ქალაქში გავგზავნე სამი პროექტი და სამგანვე ბედმა გამიღიმა. მე ახლა სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიუმებზეც მიწვევდნენ სხვადასხვა ქალაქებში ამ პროექტების წყალობით და ერთხელაც არ მიფიქრია, უბრალო რამ მაინც ჩამომეტანა მისთვის, საფოსტო ბარათი მეყიდა იმ ქალაქის ხედით და გამომეგზავნა, წერილით მაინც გამომეხატა ჩემი მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელსაც ის მიწევდა.

— კარგი ერთი. ყურები ნუ გამოგვიჭედე იმისი ქებით, — სიტყვას მაწყვეტინებდა ღიმილით ჩვენი სამმართველოს უფროსი, როცა მასთან რამე საქმეზე შესული, ვახსენებდი ჩვენს უფროს არქიტექტორს. — შენს მეტი არავინ აქებს, — ის უცებ მიჭრიდა სიტყვას და სხვა რაღაცაზე მიწყებდა ლაპარაკს. საოცარია, რომ ჩემს მეტი კრინტს არავინ სძრავდა იმ ადამიანზე, ვისგანაც სული გვედგა, ვინც პურს გვაჭმევდა, ვისი დახმარებითაც სახელი მოვიხვეჭეთ, ხალხში გავერიეთ და ახლა რაღაცას წარმოვადგენდით. ჩვენ, რვავე არქიტექტორი, დავალებული ვიყავით მისგან. ის არა მარტო გვისწორებდა და რჩევას გვაძლევდა, პროექტის მინდორზე გვიწერდა საჭირო ლიტერატურას, რაც უნდა აუცილებლად წაგვეკითხა. ამ წიგნებში ძალიან ხშირად საინტერესო, უკვე გამოყენებული პროექტები იბეჭდებოდა და მათი გაცნობა მხოლოდ ამ ლიტერატურის საშუალებით შეიძლებოდა. ამიტომ იყო, როცა მე დემოკრატიული ქვეყნებიდან თუ სხვა ქალაქებიდან ვბრუნდებოდი, ერთი ხურჯინი წიგნები მომქონდა. საოცარია, ის სულ ახალ ლიტერატურასაც კარგად იცნობდა და ზეპირად გვიწერდა ესპანურ თუ შვედურ ენაზე გამოსულ ახალ წიგნებს. მე, ვითომ ჩემი ჭკუით ახალ წიგნს ვუდებდი წინ, ისიც ღიმილით იღებდა ხელში, მისთვის ეს წიგნი ნაცნობი იყო.

ისე შევეჩვიე მისგან რჩევა-დარიგებისა და შენიშვნების მიღებას, დიდად აღარ ვაფასებდი, თითქმის ეს მის მოვალეობად მიმაჩნდა.

მეხუთე ზამთარი დგებოდა ჩემი აქ მოსვლის შემდეგ. დეკემბერი მიილია, ჩვენი გამტვერიანებული ფანჯრიდან ახლა თხელი თოვლით დაფარულ უშენს და თბილისის თავწაკვეთილ დაბალ მთებს გავცქეროდით. მეორე დღე იყო ჩვენი უფროსი არქიტექტორი არა ჩანდა. ვიღაცამ თქვა, გაციებულიაო. მე მაშინვე სანახავად წასვლა დავაპირე, მაგრამ რაღაცამ შემიშალა ხელი იმ დღეს და ვერ წავედი. მეორე დღეს თქვეს, უკეთ არისო და ახლა ამ მიზეზით გადავდე წასვლა. მეოთხე დღეს ის, მართლაც, მოვიდა, მაგრამ ფეხზე ძლივს იდგა.

— მაღალი სიცხე მქონდა. მხოლოდ გუშინ შუადღის ხანს დამიკლო, — თქვა მან და თავის მაგიდას მიუჯდა; დიდი ხანი არ გასულა, მდივანი გოგო შემოვიდა, და უთხრა, სამმართველოს უფროსი გეძახითო.

მეც სწორედ ახლა ვაპირებდი მასთან შესვლასო, მიუგო მან მდივან გოგოს და ძლივს გაიღიმა, ეტყობა, ისევ ვერ იყო კარგად, წელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან; თვალი გავაყოლე, თითქოს დღეს პირველად დავინახე, წელში მოხრილიყო, და შარვალში ჩაყუდებულ ფეხებს ძლივს მიათრევდა. მაგრამ, ამ შიშმა მალე გამიარა. მაღალ სიცხეს დავაბრალე ყველაფერი და სულ ადვილად დავმშვიდდი. დიდხანს არ დაყოვნებულა უფროსთან, ის წელი ნაბიჯით წავიდა თავისი მაგიდისაკენ, რაღაც დაწერა და ისევ გავიდა. მაგრამ, არც ახლა დარჩენილა დიდხანს უფროსთან, ახლა უფრო მალე შემობრუნდა. არც მე და არც სხვა თანამშრომელს არ გვიკითხავს, ან რად დაიბარა უფროსმა, ან რა წაიღო დაწერილი. ისე ახლო არ ვიყავით მასთან, რომ ჩავრეულიყავით მის საქმეში და გამოკითხვა დაგვეწყო. არ ვიყავით ამას მიჩვეული. თავი ცოტა განზე ეჭირა. ის ერთხანს გაჩუმებული იჯდა თავის მაგიდასთან, მერე ადგა, რუხი შალის ყელსახვევი კისერზე შემოიხვია, ქუდი დაიხურა და გავიდა. ვიფიქრეთ, სიგარეტის ყიდვა უნდოდა, ჩვენი შენობის წინ ჯიხური იყო და სხვა დროსაც ჩასულა სიგარეტის ამოსატანად, მაგრამ, ისე მიიწურა დღე, ის უკან აღარ ამობრუნებულა. მეორე დღეს სულაც არ მოვიდა. დღის დამლევს კი ჩვენი უფროსის მოადგილე შემოვიდა და შემოიყვანა ორმოციოდე წლის კაცი. გემოვნებით ეცვა, თვალები დავაჭყიტეთ. ისეთ კოსტუმში იყო მოპრანჭული. მოპრანჭულს იმიტომ ვამბო…, პიროვნებაც იპრანჭებოდა, ისეთი სახე ჰქონდა. ეტყობა, კმაყოფილი იყო, რომ ამ ქვეყნად დაიბადა და ისეთ ხალხში მოხვდა, ვის ხელშიც არის ძალაც და საქმეც, ერთი სიტყვით, ცხოვრება მისთვის სათამაშო კოჭი იყო და ამ კოჭს როგორც უნდოდა, ისე დასვამდა. მე ჯერ ვერ გავიგე. რატომ შემოიყვანა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ჩვენთან ეს ახლად მოვლენილი უფალი?

— თქვენს განყოფილებაში იმუშავებს, გამოცდილი არქიტექტორია, დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დარჩებით, — ხელების შლით გვაწონებდა უცხოს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ლაპარაკში გავიგე, ჩვენს უფროს არქიტექტორს შვებულება უთხოვია, მათ შვებულებაზე უარი უთქვამთ. და სამაგიეროდ, სულ განთავისუფლება შეუთავაზებიათ, რაზეც უფროსი არქიტექტორი უყოყმანოდ დათანხმებულა და მაშინვე დაუწერია განცხადება.

— მას ასე ერჩივნა, — მშვიდად დაასკვნა მან. — ხომ თქვენც ხედავთ, მუშაობა უჭირს, წელიწადში ორ პროექტს ძლივს აკეთებს და ისიც უვარგისს.

ეს ტყუილი იყო. მისი პროექტი არასოდეს არ ყოფილა უვარგისი. პირიქით, ყოველთვის განსხვავდებოდა სხვა პროექტებისაგან სწორედ სიახლით, მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ უსათუოდ ვინმეს შეიამხანაგებდა ხოლმე და ეს ვინმე მერე უპირატესობას და პირველობას იჩემებდა. უფროსი არქიტექტორი ამ მეორეს არ ედავებოდა. ოღონდ მალე გასულიყო პროექტი. პროექტი მართლაც ორის სახელით და ზოგჯერ იმ მეორის სახელით გადიოდა და გადიოდა იმიტომ, რომ ამ პროექტით აშენება იაფი ჯდებოდა და დროის მოგების მხრივაც ხელსაყრელი იყო. მე უნდა ჩავრეულიყავი ლაპარაკში და მეთქვა, საქმე როგორც იყო, თუ აქამდე არ იცოდა, ახლა უნდა გამეგებინებინა, მთელ განყოფილებას ის ხელმძღვანელობს, თუ მძლავრად სუნთქავს ჩვენი განყოფილება, თუ ჯილდოებს ვიღებთ და ვიმარჯვებთ, სულ იმისი წყალობაა, მაგრამ მე ეს არა ვთქვი, უნდა აღვშფოთებულიყავი, მაგრამ არ აღვშფოთდი, ჩვენ ყველანი ადგილებიდან უნდა წამოვმხტარიყავით და ერთხმად გვეყვირა, უსინდისობა იყო მმართველის მოადგილის მიერ ასეთი განცხადების გაკეთება, მაგრამ ჩვენ არც წამოვცვივდით და არც კრინტი დავძარით. უფროსის მოადგილესაც ეს უნდოდა, მან ახლად შემოყვანილი ამხანაგი კიდევ შეაქო და მიიყვანა იმ მაგიდასთან, სადაც ჩვენი უფროსი არქიტექტორი იჯდა გუშინდლამდე.

— დღეს არ მოსულა? — იკითხა მან.

— არა!

— ხვალ მოვა ხელფასის ასაღებად!

ის არ მოვიდა არც მეორე, არც მესამე დღეს. მე ისევ მინდოდა წასვლა, და წავიდოდი კიდეც, მაგრამ ახლა რაზე მელაპარაკა, იმის გუნებაზე იქნებოდა, გამოკითხვა დამეწყო, რა იყო და როგორ იყო? მაგრამ, ახლა რომ ვფიქრობ, უნდა წავსულიყავი. უნდა ბევრი რამ კარგი მეთქვა ჩემს მაგივრად და სხვების მაგივრად. მოგონება და შეთხზვა კი არ დამჭირდებოდა, უნდა გამემეორებინა ის, რასაც ის ჩემთვის და სხვებისთვის აკეთებდა, მეტი არაფერი. მაგრამ არ წავედი, რაღაცამ შემკრა. მე უნდა მეთქვა, რომ მან სხვა ადამიანებად, ცხოვრებისთვის საჭირო ადამიანებად გვაქცია, ეს უნდა გაეგო, ვიდრე სამუდამოდ თვალებს დახუჭავდა. მე ეს არ გავაკეთე და სამუდამოდ სანანებლად დამრჩება.

იგი არ მოვიდა არც მეოთხე დღეს, თუმცა ხელფასების დარიგების დღე იყო. ჩვენი ახალი თანამშრომელი ასე თორმეტ საათზე მობრძანდა, და რაღაც ორი უმარილო ანეკდოტი გვითხრა, მერე თქვა, მე ამ მაგიდასთან ვერ დავჯდები, რაღაც საზიზღარი სუნი აქვსო და ოთახიდან გავიდა.

ორი წუთის გასული იყო ოთახიდან, კარი გაიღო და მმართველის მოადგილემ თავისი ხელით შემოაცურა პრიალა მაგიდა. ძველი კი გაიტანეს, მე იმ მაგიდას თვალი გავაყოლე, თითქოს მისი უკანასკნელი ნაწილიც მოაშორეს ჩვენს სამუშაო ოთახს.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

რამდენიმე დღე კიდევ გავიდა, და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიჭირდა მასთან წასვლა. სიმართლე გითხრათ, ისიც არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა, არ დამჭირებია ამის ცოდნა, მაგრამ, მალე დამჭირდა. ერთ დღეს, ის იყო მაგიდებს მივუსხედით სამუშაოდ, მმართველის მოადგილე შემოვიდა:

— ეს არის, მეზობელმა დარეკა, ქუჩაში წაქცეულა და მომკვდარა, საცოდავი!

მმართველის მოადგილის მაძღარ სახეს ვუცქეროდი, არავითარი თანაგრძნობა არ იხატებოდა, არავითარი შებრალება არ იყო მის სიტყვებში. ის ქუჩაში დაეცა და მოკვდა. ეგებ, სულაც არ მოდიოდა ხელფასის ასაღებად? და უბრალოდ ჰაერზე გამოვიდა, რომ დეკემბრის ღრუბლიანი ცისთვის შეეხედა, ის ადამიანი იყო და როგორც ყველა ადამიანს, იმასაც მოუნდა, ზამთრის ღრუბლიან დღეს ქუჩაში გამოსულიყო და თავისი მუდმივი ხიმყუდროვე დაერღვია. მე დარწმუნებული ვარ, ის ხელფასისთვის არ გამოვიდა სახლიდან.

როცა ჩვენ მის ოთახში შევედით, ის იყო იატაკი მოერეცხათ, ქუჩის მხრიდან ფანჯარა გაეღოთ და სველ იატაკზე ფანჯრიდან შემოფრენილი მტრედები დაგოგავდნენ. ეტყობა, მიჩვეულები იყვნენ ოთახში შემოსვლას; მეზობელი, ასე ორმოცდაათი წლის ყვიციანი კაცი, რომელსაც ოთახი რჩებოდა, სიხარულს ვერა მალავდა და სხვებზე მეტს ის ლაპარაკობდა, რაც სულ არ შეეხებოდა მიცვალებულს. ჩვენ სწორედ იმას გადავეცით ფული ჩასასვენებლის საყიდლად, და საერთოდ, რაც საჭირო იყო, ყოველგვარი ხარჯების დასაფარავად; დასაფლავების დღეს მტრედები აივნის მოაჯირზე ისხდნენ, ფანჯრის პირდაპირ. შეცივნულები, ხალხი ცოტა იყო, ზოგი თანამშრომელი სულაც არ მოვიდა. ჩვენი ოთახიდან კი ყველანი ვიყავით. ახალი თანამშრომელიც გახლდათ, მაგრამ, ბოლომდე არ დარჩენილა, და ძალიან კარგიც ქნა, რომ არ დარჩა. ასე მგონია, ჩვენი უფროსი არქიტექტორი ოდნავ მოხუჭული თვალებიდან ხედავდა ჩვენს ახალ თანამშრომელს. ახლა, როცა რამდენიმე წელიწადი გავიდა და დასაფლავების ის უსიამოვნო გრძელი დღე მაგონდება, ვერ გამიგია, რად მივანდეთ სხვებს მკვდრის პატრონობა, იმითაც კი არ შევიწუხეთ თავი, უკანასკნელი მოვალეობა მოგვეხადა და უცხო მეზობლებისთვის არ დაგვევალებინა ეს საქმე. ჩვენ არაფრით არ შევწუხდით იმ ადამიანისთვის, ვინც ფეხზე დაგვაყენა. თუ ხმამაღლა არ ვამბობდით ამას, გულში ხომ ვიცოდით, რომ ასე იყო? რა ვიყავით ჩვენ მასთან შედარებით? უვიცები, არაფრისმაქნისები, დედ-მამისგან გატუტუცებულები. მან შეგვაყვარა შრომა, ოცნება, მან მიგვაჩვია შემოქმედებით აზროვნებას, რომლის დროსაც იბადება პროექტი, მერე ამ პროექტით შენდება შენობა, მერე ქალაქი. იქ, სადაც ცარიელი ადგილი იყო, ცხოვრება იწყება, ამაზე მეტი საოცრება შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა? შენ დაბადე ეს ქალაქი და შენს დაბადებულ ქალაქში მოვიდნენ ადამიანები. ამ ბედნიერებას მივაღწიეთ ჩვენ, უბრალო მოკვდავებმა. შეიძლება, უცებ ღმერთად წარმოიდგინო შენი თავი, ერთი წუთით, რა თქმა უნდა, და ისიც მხოლოდ შენს გულში, მაგრამ, რას უდრის ეს ერთი წუთი?

პანაშვიდის ფული აღარ დამრჩაო, შემოგვჩივლა ისევ იმ ყვიციანმა კაცმა, რომელსაც ხარჯების გასაწევი ფული მივეცით. პანაშვიდი არც იყო საჭირო, ჩვენ ხმადაბლა ვლაპარაკობდით, ხან ამაზე, ხან იმაზე, რა თქმა უნდა, ისევ ჩვენი საქმის ირგვლივ, ისე, როგორც ეს ხდება ყველა მიცვალებულის გვერდით.

ის მეზობელი, რომელსაც ოთახი დარჩა, დასაფლავების მეორე დღეს ჩვენს განყოფილებაში გამოცხადდა, და მე მიკითხა, რა თქმა უნდა, ჩემი გვარი არ იცოდა, მაგრამ, კონვერტზე, რომელიც მას ხელში ეჭირა, ჩემი სახელი და გვარი ეწერა, ხოლო კუთხეში წვრილი ასოებით მიწერილი იყო: ან რომელიმე თანამშრომელს. ალბათ, რომელიც მაშინ იქნებოდა ოთახში. მე კონვერტი გავხსენი. შიგ ბარათი ისევ ჩემს სახელზე იყო; ის მწერდა, მისი სიკვდილის მერე შემნახველი სალაროს წიგნაკი გადამეცა ჩვენი მემანქანე ქალისთვის, რომელიც საქმის მწარმოებელიც იყო. ჩვენი მემანქანე, ასე ოცდაათი წლის ქალი, თუმცა, ძალიან ცდილობდა, რაღაცით გაელამაზებინა თავი, არაფერი გამოსდიოდა. მას უქმროდ გაჩენილი ბავშვი ჰყავდა, ასე ცხრა წლის ქერა ბიჭი, ისიც დედასავით ულამაზო, რომელსაც ერთთავად ან ყურები სტკიოდა, ან ყელი, ან თვალები. მუწუკები ხომ მისი მოუშორებელი ავადმყოფობა იყო. უმუწუკებოდ ეს ბავშვი არც ახლა მაგონდება. აკი ვამბობ, ან ყური ჰქონდა ახვეული, ან ყელი შეხვეული, ან თვალებზე მწვანე წამალი ჰქონდა წასმული. არც კი მინახავს, ჩვენი არქიტექტორი ამ ქალს დალაპარაკებოდა, თუ არ ჩავთვლით დილის სალამს, რომელსაც უფროსი არქიტექტორი არავის უჭერდა. ან როცა სა-

ჭირო იყო, რამე მიმართვის დაბეჭდვა, რა თქმა უნდა, ძალაუნებურად მას მივმართავდით. ეს იშვიათად ხდებოდა, იქნებ, ორ თვეში ერთხელ, ის კი გამუდმებით რაღაცას ბეჭდავდა და მმართველთან შეჰქონდა და გასწორებული უკან გამოჰქონდა დასაბეჭდად. დარწმუნებული ვარ, ჩვენს უფროს არქიტექტორს ამ ქალთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა, არც ხორციელი, არც სულიერი. კაცმა არ იცის, ასე რად გადაწყვიტა, მაგრამ, საბოლოოდ ისე მოხდა, სიკვდილის მერე სწორედ ამ ქალს დაუტოვა თავისი დანაზოგი. უფროსი არქიტექტორი ზოგჯერ ამ ბავშვს გაულიმებდა და გაუსწორებდა ნახატს, რომელიც ამ ბიჭის მუდმივი გასართობი იყო, ან ფრთხილ ნკიპურტს უთავაზებდა. მემანქანე ქალი დიდი მადლობელი იყო, რა თქმა უნდა, თავისი შვილი ყველაზე ლამაზი ეგონა და ყველას ყურადღება ძვირფასი იყო მისთვის. ერთხელაც არ მიფიქრია, რამე მეყიდა ამ ბავშვისათვის, თუმცა ხშირად მინახავს ჩვენთან ერთად სასაუზმეში შემოსული. არც ის მაგონდება, ჩვენი უფროსი არქიტექტორი გამასპინძლებოდა ამ ბავშვს. სასაუზმეში ჩვენ სამ-სამი, ოთხ-ოთხი ვსხდებოდით მაგიდასთან, მოგვქონდა ლიმონათი და კიდევ რაც იყო იმ დღეს სასაუზმეში. ჩვენი უფროსი არქიტექტორი ყოველთვის ერთსა და იგივეს იღებდა, ფუნთუშასა და ცხელ დაშაქრულ ჩაის. ეს იყო და ეს. დასაფლავების დღე დამიდგა თვალწინ. ჩვენი მემანქანე, რაც შეიძლება, მორთული მოვიდა ბიჭთან ერთად გამოსვენებაზე. ხელში თაიგული უჭირავს, ეს ერთადერთი თაიგულია მიცვალებულის პატივისცემის გამომხატველი. და სწორედ ამ ერთადერთ თაიგულს ეცემა მემანქანე ქალის ცრემლები. ბიჭი კი, მტრედების ცქერით გართული, ფანჯარაში იყურება. მემანქანე თეთრი მოქარგული ცხვირსახოცით იწმენდს განითლებულ სველ ლოყებს. არქიტექტორი ბარათით მთხოვს, ფრთხილად მოვექცე მემანქანე ქალს, შეურაცხყოფილად რომ არ იგრძნოს თავი. იგი მას უტოვებს სამი ათას მანეთს შვილის აღსაზრდელად. მართლა ძალიან დიდი სიფრთხილე მჭირდება, მშვიდობიანად მოვაგვარო ეს საქმე და ამისთვის ათას რამეს ვიგონებ.

— ხომ იცით, როგორ უყვარდა თქვენი ბიჭი?

— ვიცი. დახუჭუჭებულ თავს მიქნევს, მაგრამ გაოგნებულია ამ მოულოდნელი საჩუქრით.

როცა ვეუბნები სამი ათასი მანეთია დატოვებული მის სახელზე, შეშინებული მიყურებს, ხომ შეიძლება უზნეობა დასწამონ?

— მას უნდოდა შვილის აღზრდაში დაგხმარებოდათ, — რაც შეიძლება მშვიდად ვეუბნები.

— დამეხმარებოდა კიდეც, მაგრამ არ დასცალდა. — მიდასტურებს მემანქანე ქალი, თუმცა ამის დასადასტურებელი არავითარი საბუთი არ გააჩნია.

მე შემნახველი სალაროს წიგნაკს ვუწვდი.

— არა, არა, წიგნაკი თქვენთან იყოს, — ის ხელებს ასავსავებს შეშინებული. — ხელს ვერ ვახლებ, ხელს ვერ ვახლებ!

მეშინია, ისევ ცრემლები არ გადმოყაროს და წიგნაკს საჩქაროდ ჯიბეში ვიდებ. ჩემთვის მართლაც, ძნელი არ არის მიცვალებულის ამ უბრალო თხოვნის შესრულება. მე წავყვები ჩვენს მემანქანეს შემნახველ სალაროში ექვსი თვის შემდეგ, ფულს გადავიტანთ მემანქანის სახელზე და შევუნახავთ ბიჭს, ვიდრე მისი ნიჭი გაფურჩქვნას დაიწყებს.

დასაფლავებიდან სამი დღე იყო გასული, ჩემს მმართველთან შევედი. ის სწორედ იმ კოსტუმში დამხვდა გამოწკეპილი, რომელიც ახალ თანამშრომელს აცვია. მგონი, ამ კოსტუმს სანადირო კოსტუმი ჰქვია. ეს კოსტუმი, რა თქმა უნდა, ჩვენი ახალი თანამშრომლის ნაჩუქარია. და, ღმერთო, ნუ მიწყენ, ამ კოსტუმის ჯიბეში კიდევ რაღაცა იდო, ვიდრე ის ჩვენთან დაიწყებდა მუშაობას.

ჩვენი მტვრიანი ფანჯრებიდან ხან მზისაგან დახრუკული და გადახუნებული ქაჩალი ბალახი მოჩანს უშენზე, ხან თოვლი ფარავს ნაცრისფერ ხრიოკს. დღე დღეს მისდევს, თვე — თვეს, ასე გადის წელიწადები და ჩვენს ფანჯრებშიაც დროების მიხედვით იცვლება ბუნების სურათი.

გამოსათხოვარი

# მკურნალად შემეყარეო*



ოცდაოთხ თებერვალს უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ დიდებული ქართველი ქალბატონი, ახმეტელის თეატრის უსაჩინოესი არტისტი და მისი ცხოვრების თანამგზავრი თამარ წულუკიძე.

მისი ცხოვრების ნახევარზე მეტმა საქართველოდან მოწყვეტით განვლო... ჯვარცმულის ხვედრი განუმზადა ბედისწერამ. წისქვილის ქვა არ მოტრიალებულა მის თავზე, თორემ რა ტკივილი და მწუხრი არ დასტეხია. იყო ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა, ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკები, უახლოესი ადამიანების მოკვდინება... ამაყმა და ძლიერმა არსებამ ყველაფერს გაუძლო და ცხრა ათეულ წელს მიტანებული ქალაქ მინსკში გარდაიცვალა. თბილისში დაბრუნება იყო თამარ წულუკიძის უკანასკნელი სურვილი. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე თეატრმცოდნე ნადია შალუტაშვილს სწერდა: „ჩემი ნათესავების შეწუხება სიბერის ჟამს არ მინდა, ეგების გამიგოთ, მანდ რა პირობებია პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატში, მინდა საქართველოში დავსახლდე. აქ, მინსკთან ახლოს ძალიან კარგი ინტერნატია, მაგრამ უკეთესია სამხრეთში წამოვიდე, უფრო ახლოს ჩემს წარსულთან..."

ანდერძისამებრ, კრემაციის შემდეგ ურნა მისი ფერფლით ნათესავებმა მინსკიდან სამშობლოში ჩამოიტანეს.

თბილისი ნამდვილად იყო ღირსი, თამარის ახდილი კუბო ენახა. მაგრამ მასთან გამოსამშვიდობებლად მოსულთ რუსთაველის თეატრის ფოიეში მომცრო ურნა დახვდათ. მსახიობის დაკრძალვაზე მოსული ხალხის ნაკადს არ გადაუკეტია რუსთაველის პროსპექტი, როგორც ეს ხდებოდა 30-იან წლებში სანდრო ახმეტელის სპექტაკლების შემდეგ, რომლის მთავარი გმირი თამარ წულუკიძე გახლდათ.



● ილტანი



● ამალია

მეჩვენებოდა, რომ საკუთარი მყუდრო სახლიდან მიაცილებდნენ. მის გამოსამშვიდობებლად მოვიდა ის ხალხი, ვინც აუცილებლად უნდა მოსულიყო. ყველა, ვინც იმ დღეს რუსთაველის თეატრის ფოიეში იმყოფებოდა, ჭირისუფალი იყო, ყველამ ზედმიწევნით კარგად უწყოდა განსვენებულის გვემული ცხოვრების ამბავი, იძულებით სამშობლოს მოშორებული მანდილოსნის ტრაგედია.

● ოფელია



ერთხელ, როცა ნინო რამიშვილს ქალბატონ თამარისათვის მოკრძალებით უკითხავს: რატომ არ ბრუნდებით სამშობლოშიო, მას უპასუხნია:

— ძალიან მინდა, მაგრამ მიმძიმს რუსთაველის პროსპექტზე გავლა, მოგონებები მბოჭავენო.

ბუნებრივია, გაუჭირდებოდა იმ პროსპექტზე გავლა, რომელიც მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ამბების მოწმე იყო ოდესღაც, აწმყოში კი ფერფლიც აღარ დარჩა.

სასტიკი და მაინც ლამაზი ხვედრი ერგო თამარ წულუკიძეს, მისი შემოქმედებითი ცხოვრება ილბლიანად აეწყო, მის ბედს ბევრი შენატროდა, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად თავზე ჩამოექცა, დაბნელდა მისი ბედის ვარსკვლავი. თამარ წულუკიძეს არ დასცალდა სცენაზე ბოლომდე ეთქვა თავისი სათქმელი, ნავიდა, როგორც დაუმთავრებელი სიმღერა. მხოლოდ ათი სეზონი დაჰყო მშობლიურ თეატრში და უპოპულარესი მსახიობის სახელი დაიმკვიდრა. მისი ილტანი, ქსენია, ამალია, ლამარა ლეგენდარულ სახებად შევიდა ქართული თეატრის ისტორიაში.

დღეს აღარავის უკვირს ტოტალიტარული რეჟიმის თამამად მხილება, რადგან ეს „ზევიდან" დაუშვეს, მაგრამ ათი წლის წინათ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავდა, თამარ წულუკიძემ კი დაწერა თავისი ჯვარცმული ცხოვრების წიგნი — „მხოლოდ ერთი სიცოცხლე" (1983 წელს გამოსცა „ხელოვნებამ"). მან, რაც დასაკარგი ჰქონდა, დაკარგა, რაღა შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე უარესი, რაც გადაიტანა, ამიტომ არ მორიდებია არავის და არაფერს, ყველაფერი პირუთვნელად დაწერა...

ეს მაშინ გმირობის ტოლფასი იყო!

უკანასკნელ გზასავალზე დები იმხნელების სიმღერა მიაცილებდა, „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო..." გაისმოდა თეატრში ნათელფენილი გალობა, და აკაკის მაგიური სიტყვები ყველას გულს ტკივილად, სინანულად და თან სალბუნადაც ეფინებოდა...

გიორგი ლალიაშვილი



გაზეთ „ქართული ფილმის" გამოკითხვის მიხედვით, ნინელი ჭანკვეტაძე 1990 წლის საუკეთესო მსახიობ ქალად აღიარეს.

# ადამიანს უყვარს ვენდობი

ბუნებამ მას უხვად უბოძა ყველაფერი, რაც ნამდვილ „ვარსკვლავს" სჭირდება: ნიჭი, სილამაზე, არტისტიზმი, გემოვნება. ბედმაც გაანებივრა: მიხეილ თუმანიშვილის შეგირდობა არგუნა.

და ხანდახან მიკვირს კიდეც, როგორ ახერხებს იგი ასე „უხმაუროდ" ატაროს ეს უზარმაზარი ბედნიერება.

ამითაც ჰგავს ის თავის მასწავლებელს — მიხეილ თუმანიშვილი ხომ იშვიათი მაგალითია იმისა, რომ შეიძლება იყო ესოდენ აღიარებული და მაინც არ იყო პოპულარული.

დიახ, ნინელი ჭანკვეტაძეს პოპულარულს ვერ უწოდებ, თუმცა მის ნიჭს ყველა აღიარებს. არ ვიცი, შესაძლოა, დადგეს დრო, როცა მასაც „ქობულეთის ბაზარში ფულს არ გამოართმევენ", მაგრამ მაინც მგონია, რომ სიტყვა „პოპულარული" მის სახელს ეპითეტად ნამდვილად არ უხდება.

„ბატონ მიხეილ თუმანიშვილს მე ხშირად ვაბრაზებ, აი, ნინელი კი — თითქმის არასოდეს", — მითხრა ერთხელ ზურა ყიფშიძემ.

ალბათ, ადვილად მისახვედრია ზურას სათქმელი: ნინელი ჭანკვეტაძეს აქვს ის ფანატიზმი, რომელსაც მიხეილ თუმანიშვილი ასე დაუცხრომლად ეძებს: ბოლომდე დაიხარჯო თეატრში.

ნინელი ჭანკვეტაძის ნიჭიერება უჩვეულოდ ემოციურია, სიხარულის და ბედნიერების მომგვრელი. შეუძლებელია, ეს არ იგრძნო, როცა მას, მაგალითად „ჩვენს პატარა ქალაქში" უყურებ.

„ნამდვილი თუმანიშვილის მსახიობი" — ხშირად ამბობენ ნინელიზე. და, მართლაც, ალბათ, იშვიათია შემთხვევა, როცა რეჟისორი ასე ბუნებრივად „გადადის" მსახიობში, მსახიობს კი ასე სრულყოფილად ძალუძს რეჟისორის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ჩანაფიქრის გამოხატვა.

ნინელი ჭანკვეტაძის თამაშს ყოველთვის ახლავს რაღაცნაირი სიმსუბუქე, რაც გაფიქრებინებს, რომ მსახიობი სცენაზე ყველაფერს ძალზე ადვილად აკეთებს — რა უადგილოა ეს სიტყვა ნინელიზე საუბრისას. მის თამაშს ხომ სწორედ კეთების კვალი არ ატყვია. და სწორედ ეს არის ოსტატობის უტყუარი ნიშანი.

ხშირად ვფიქრობ, რომ ნინელი ჭანკვეტაძე ვერაფრით შეეგუებოდა გმირულ-რომანტიკულ თეატრს, სადაც „მსახიობთა ხმები კედლებს აზანზარებდნენ", უწინარეს ყოვლისა, ვერ შეეგუებოდა ასეთი თეატრის თავისებურ „პათეტიკურ ამაღლებულობას". ჩემი აზრით, მას არ სტურხებს თავად სინამდვილე და არა „სინამდვილეზე ერთი საფეხურით მაღლა". ოღონდ არა ნატურალიზმი, არამედ ფსიქოლოგიური რეალიზმი, ნამდვილი გრძნობები და ემოციები, ნამდვილი სიხარული და ტკივილი.

და ამ მართალი, ცხოვრებისეული გრძნობების (თუმანიშვილისეულ) თეატრში უთვალავი ფერით გამოვლინდება მისი ნიჭიერება: დრამატიზმი, ლირიზმი, იუმორი, გროტესკი...





სცენა „ბაკულას ღორებიდან"

ნინელი ჭანკვეტაძე ნამდვილი პროფესიონალია და იმათ რიცხვშია, ვინც ჩვენს ხსნას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ პროფესიონალიზმის კულტის დამკვიდრებაში ხედავს.

თეატრის მისიაც მას „პირველყოფილი" მნიშვნელობით ესმის და, თვლის, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, პოლიტიკაც მხოლოდ პოლიტიკოსის საქმე უნდა იყოს.

...„როგორ ადამიანს ვერ ენდობით?" — ჰკითხეს მას ერთ-ერთ ტელეინტერვიუში.

„ადამიანს ყველას ვენდობი", — იყო პასუხი.

და ამ პასუხმა თითქმის ყველაფერი თქვა ნინელი ჭანკვეტაძეზე.

ხელოვნებაში ბოლომდე მხარჯველი ცხოვრებაშიც მეტად სერიოზულია. ამიტომაც გვინდოდა, „საქართველოს ქალისთვის" ნინელი ჭანკვეტაძის პორტრეტი თავისებურ „ოჯახურ ინტერიერში" წარმოგვედგინა, ამ საქმეში მისი მეუღლის — მსახიობ ზაზა მიქაშავიძის დახმარების იმედიც გვქონდა, მაგრამ ამჯერად ეს არ მოხერხდა: ნინელი ახალ როლზე მუშაობდა. და ახლა, როცა ამ წერილს კითხულობთ, კინომსახიობთა თეატრში უკვე ჩავლილია ლაშა თაბუკაშვილის პიესის „ნატაძრალის" პრემიერა. და თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, განიცადოთ ნინელი ჭანკვეტაძის ახალ გმირთან შეხვედრის სიხარული. კვლავ დატკბეთ მისი ნიჭიერებით...

იოსებ ჟუმბურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შეიძლება ყველა პარტიის მოგება?

მართლაცდა, შეიძლება თუ არა რომელიმე პირველხარისხოვან საჭადრაკო ტურნიოში აბსოლუტურად ყველა პარტიის მოგება? ოდესღაც ეს რამდენჯერმე რობერტ ფიშერმა მოახერხა. დღეს?!

## შეიძლება!



რა თქმა უნდა, ასეთი შედეგის მიღწევისათვის მარტო დიდი საჭადრაკო ნიჭი არ არის საკმარისი, საჭიროა არანაკლები შეუპოვრობა, შემართება, მიზანსწრაფვა და სპორტული ჟინი.

ყოველივე ამით დაჯილდოებულია 22 წლის ქეთევან არახამია. ერთხელ, 1985 წელს, როცა იგი იუგოსლავიაში, 20 წლამდე ქალიშვილების მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, მაქსიმალურ შედეგს სულ ცოტაღა დააკლდა. შეჯიბრების დასრულებამდე რამდენიმე ტური იყო დარჩენილი, როცა ქართველმა მოჭადრაკემ უკვე გაინაღდა ჩემპიონობა. იგი ასეთ შედეგს არ დასჯერდა და დანარჩენ პარტიებშიც მოგებაზე თამაშობდა. 13 შესაძლებლობიდან 12,5 ქულა — ასეთი იყო ქეთევანის მაშინდელი მიღწევა.

ვინ იფიქრებდა, რომ შეიძლებოდა ასეთი შედეგის გაუმჯობესება და თანაც უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაში, საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე. აქ არახამიამ შარშან, დეკემბერში, 12 პარტია ითამაშა და თორმეტივე მოიგო! ეს ოლიმპიადის ყველაზე დიდი მიღწევა იყო. რა თქმა უნდა, ყურადღება მიექცა იმ ამბავსაც, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც მაისში 50 წლისა სრულდება, პირდაპირ ახალგაზრდული ჟინით თამაშობდა (7,5 ქულა ათიდან) და სასტიკი მარცხი აგემა იუდით პოლგარს, რომელსაც ქალთა „რანგ-ლისტში" (ქალთა შედარებითი ნუსხა) პირველი ადგილი უჭირავს. კვლავ მიიქციეს ყურადღება დებმა პოლგარებმა, რომლებიც „ქალთა საზოგადოებას" გაურბიან და მხოლოდ ოლიმპიადებში ხვდებიან ხოლმე თავიანთი სქესის წარმომადგენლებს.



წლევანდელი წელი ქართული ჭადრაკისათვის ფრიად მნიშვნელოვანი გახლავთ. სექტემბერში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ უნდა შეინარჩუნოს გვირგვინი. ეჭვგარეშეა, იგი ამას მიაღწევს, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი გახდება და მიუახლოვდება ვერა მენჩიკის რეკორდს, რომელმაც 1927-39 წლებში ეს წოდება რვაგზის მოიპოვა. მაიას შეუძლია მენჩიკის რეკორდის მოხსნაზეც იზრუნოს, თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ. აქ შეუძლებელი არაფერია.

ამასობაში კი სულ უფრო იმაღლებს ხმას ქართველ მოჭადრაკე ქალთა ახალი თაობა. გვინდა ისინი რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. ქეთევან არახამიას მხარდამხარ ქეთევან კახიანი იბრძვის. თუ არახამია შარშან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, კახიანი უფრო შორს წავიდა და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობდა. 1993 წელს, როცა პრეტენდენტების მორიგი შეჯიბრება გაიმართება, ვფიქრობთ, იქ არახამიაც ითამაშებს და კახიანიც.

ახლა სულ ახალგაზრდა მოჭადრაკეებზეც ვისაუბროთ. თეა ლანჩავა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია გოგონათა შორის. დიანა დარჩია ასევე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია უმცროსი ასაკის გოგონათა შორის. წლეულს მათ კიდევ ერთხელ ელით ასეთივე შეჯიბრებაში მონაწილეობა, ყოველგვარი შერჩევის გარეშე, როგორც წინა ასპარეზობებში გამარჯვებულებს. ორგზის ჩემპიონობა კარგია, მაგრამ, სამგზის ჩემპიონობა უმჯობესია, რა თქმა უნდა!

ახლა ნინო ხურციძე, ინგა ხურცილავა, ნატო ეძგვერაძე! ეს გოგონები საკავშირო შეჯიბრებებში პირდაპირ „თავზარს სცემდნენ მეტოქეებს". ხურციძის თამაში სრული კონცენტრაციისა და შეუპოვრობის ნიმუში გახლავთ. უნდა ნახოთ, როგორი გატაცებითა და შემართებით უტევს ხურცილავა, ეძგვერაძეს კი იერიშიც ემარჯვება და მოგერიებაც. ამ ნიჭიერი გოგონების სახელს კიდევ არაერთგზის გავიგონებთ...

ეჭვგარეშეა, დიდი ამაგი დასდო ქართულ ჭადრაკს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწვრთნელმა გიორგი მაჭარაშვილმა, რომლის ხელმძღვანელობითაც ქეთევან კახიანი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი გახდა. მისი ახალი მოსწავლეა 13 წლის მაია ლომინეიშვილი. გოგონას ჭადრაკის დიდი სიყვარული და სათანადო ნიჭიც აქვს. ოქტომბერში თავი გამოიჩინა ბათუმში მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე, დეკემბერში კი — საქართველოს ჩემპიონატში 18 წლამდე გოგონებს შორის, თუმცა მასზე უფროსი ბევრი იყო: არც აცივა, არც აცხელა და პირველი ადგილი დაიკავა.

ვის გვარს გავიგონებთ ხვალ?!

**ბიჟი გამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალმოთხილამურეობა — სპორტის ელიტარული სახეობა

# ვარსკვლავის ამობრწყინება



გოგონა ფიგურულ სრიალზე ოცნებობდა.

ო, რა სიამოვნებით გასრიალდებოდა ყინულზე.

მაგრამ ყინული? ფოთში მასზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. სამაგიეროდ თვალუწვდენელი ზღვა აქვე, ხელისგაწვდენაზე იყო.

სპორტსმენი მამა ჰყავს და სპორტულ იარაღებზე სიამოვნებით, მსუბუქად და მოხდენილად ვარჯიშობდა. ამიტომ გამოარჩია მასწავლებელმა და ასე მიიყვანეს პატარა ხათუნა „ოქროს ტბაზე".

მალთაყვაში სპორტული კომპლექსი „არა" გახდა შემდგომ მისი სავარჯიშო და საპაექრო ასპარეზი.

წყალმოთხილამურეობა. ფოთი ამ ულამაზესი სპორტის მექადაა აღიარებული, ამიტომაც მოწინავეობენ აქაური სპორტსმენები.

დიდხანს ტკბებოდა გოგონა წყალმოთხილამურეთა ვარჯიშის ცქერით და იმდენად გაიტაცა წყალზე ქროლვის რომანტიკამ, რომ ცურვაც არ იცოდა, ისე დადგა თხილამურებზე. არც იმის შეშინებია, ყირამალა რომ ჩაეშვა წყალში.

ეს ისეთი ახტაჯანა ჩანს, კარგი სპორტსმენი დადგება, — გაიფიქრა მისმა პირველმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ კობიალკომ და არც შემცდარა.

ხათუნამ კი მამას მანამ არაფერი უთხრა ახალი გატაცების შესახებ, სანამ ცურვა არ ისწავლა და საიმედოდ არ დადგა თხილამურებზე. მერე კი უკვე თვითონ მამას დაჰყავდა მალთაყვაში.

ერთი წლის ვარჯიშის შემდეგ საბჭოთა კავშირის პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა გოგონათა შორის. მაშინ მიხვდა ხათუნა, არჩევანში რომ არ შემცდარა.

იმ დღიდან სწრაფად იზრდებოდა, იხვეწებოდა მისი ტექნიკა, გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა.

მალე დიდი გამარჯვებაც მოვიდა. საფრანგეთში გამართულ შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონი გახდა და საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმა შეასრულა. წელს კი საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა ტრამპლინიდან ხტომაში.

— საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმა რომ შევასრულე, — მეუბნება ხათუნა, — არავის სჯეროდა, ასე შორს რომ გადავხტი. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ასაკის გოგონებისათვის ეს წარმოუდგენელი მიღწევაა, როგორც წესი, ტრამპლინიდან ხტომაში დაოსტატება წლებს მოითხოვს.

გოგონას თხილამურების გარდა მუსიკა და ვარდები უყვარს.

მისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი მამა და ძმაა.

— ჩემი ძმა ირაკლი ოსტატობის კანდიდატია კრივში, ჩემზე თუ სადმე სტატიას ან სურათს ნახავს, პირველად თვითონ კითხულობს და მერე საიმედოდ ინახავს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ნშვიდად მოსაუბრე ქალიშვილი „ოქროს ტბაზე" გაცნობილი ხათუნაა, რომელიც ქარივით მიჰქროდა წყლის ჰავლზე და მოხდენილად ძლევდა წინაღობებს. ხელებმა გასცა მხოლოდ. ხელის გულზე უზარმაზარი ბებერა გასკდომოდა და შუბლი შეიჭმუხნა: ლექციებზე ვიყავი და კარგახანია აღარ მივარჯიშია, ხელები დამინაზდაო. იგი თბილისის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტია.

აგვისტოში, ფოთში მოეწყობა ევროპის ჩემპიონატი. პრივილეგიური, ელიტარული სპორტული სახეობა-წყალმოთხილამურეობა მიმზიდველი სანახაობაა და გვჯერა, მნახველიც საკმაოდ ეყოლება მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

მასპინძელთა შორის კი იქნება ხათუნა კორკელია, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. საერთაშორისო შეჯიბრებებში არაერთგზის გამარჯვებული ხათუნას სპორტული პოპულარობა შარშან წლის ბოლოსაც დადასტურდა. საქართველოს ჟურნალისტებმა ხათუნა წლის საუკეთესო ქართველ სპორტსმენთა ათეულში შეიყვანეს.

ვამაყებით ფოთელებს და მათთან ერთად მთელ საქართველოს კიდევ ერთი ვარსკვლავის ამობრწყინება.

მარადი ანასაშვილი

---

ბრძენნი უთქვამს

## კარგი ხასიათი სიმდიდრეა

ხასიათი სხვა არაფერია, თუ არა ხანგრძლივი ჩვეულება.

პლუტარქე

ვისაც ხასიათი მოწესრიგებული აქვს, მას ცხოვრებაც კეთილმოწყობილი აქვს.

დემოკრიტე

ხასიათი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ნებისყოფაა.

ნოვალისი

არაფერია იმაზე უფერული, ვიდრე ხასიათი უხასიათო კაცისა.

ლაბრუიერი

კარგი ხასიათი, ისევე როგორც კარგი ნაწარმოები, იმდენად დასაწყისში არ გვაოცებს, რამდენადაც ბოლოში.

ვოლტერი

კარგი ხასიათი სიმდიდრეა, რომელიც მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვება ადამიანს.

ჰეზლიტი

ადამიანის ცხოვრება — აი მისი ხასიათი.

გოეთე

# თქვენთვის, მშვენიერო მანანებო!

## თბილისის მაღაზიებში შეიძენთ თვალისა და ტუჩის შესაღებ კოსმეტიკურ ფანქრებს

ჩვენს მანდილოსნებს მეტი მიმზიდველობისათვის კიდევ ერთი დიდებული საშუალება გაუჩნდათ. რუსთავის საწარმოო-გაერთიანება „აზოტში" შეიქმნა კოსმეტიკური ფანქრების ერთობლივი საწარმო, რომლის პროდუქციაც არაფრით ჩამოუვარდება ევროპულ სტანდარტებს. იგი გამოირჩევა მოხერხებულობით, ესთეტიკით, ფერთა მრავალგვარობით. მათი შეძენა გადამყიდველებთან ათმაგ ფასებში როდი მოგიხდებათ. რუსთავის პარფიუმერიის მაღაზიებში უკვე მასობრივად იყიდება თვალისა და ტუჩის (კონტურისათვის) შესაღები ფანქრები და მალე ისინი თბილისის მაღაზიის დახლებზეც გაჩნდება.

მაგრამ მათი წარმოების წამოწყებას სხვა, უფრო საქმიანი მიზეზებიც აქვს: პროდუქციის დიდი ნაწილი მსოფლიოს ბაზარზე გავა და საქართველოს წარმოების ხელმძღვანელებს ერთობ სოლიდურ მოგებას მისცემს. ამის იმედს მისი მაღალი ხარისხი და გემოვნებიანი დიზაინი აძლევს.

საწარმოო გაერთიანება „აზოტმა" ამ კოსმეტიკური ფანქრების პრეზენტაციაზე სტუმრები რესპუბლიკის დედაქალაქიდანაც მიიწვია. აქ იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, სხვადასხვა მსხვილი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები, ჟურნალისტები. პრეზენტაციას ესწრებოდნენ აგრეთვე ჩვენი გერმანელი პარტნიორები.

უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა უკვე კარგად ნაცადი საქმეა ჩვენთვის. ისინი გვეხმარებიან, როგორც მატერიალურად, აგრეთვე პროგრესული ტექნოლოგიითა და კვალიფიციური კადრებით.

როცა გერმანული ფირმა „კუნეს" წარმომადგენლებმა ერთობლივი კოსმეტიკური საწარმოს შექმნა განიზრახეს, ადგილმდებარეობის შესარჩევად საკავშირო მინისტრს მიმართეს. მან საკონკურსოდ სამი ქალაქი შესთავაზა: მოსკოვი, ჩერნოგორეცი და რუსთავი. სამივე რეგიონის შესწავლის შემდეგ უცხოელმა ბიზნესმენებმა არჩევანი რუსთავზე შეაჩერეს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ საწარმოსათვის საჭირო შენობა ექვს თვეში აშენდა. მას აქვს საკუთარი სამშენებლო ტრესტი, ყველანაირი საჭირო ინვენტარი, ჰყავს კვალიფიციური მშენებლებიც. მათ მიერ აგებული ეს ახალი საწარმო ჩვენმა ახლადშეძენილმა მეგობრებმაც მოიწონეს. რაც შეეხება მანქანა-დანადგარებს და წარმოების ტექნოლოგიას — იგი გერმანელებს ეკუთვნით. ჯერჯერობით მათია ნედლეულიც. „აზოტის" გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ზურაბ ქერვალიშვილმა გვითხრა, სამი წლის მანძილზე ისევ პარტნიორები მოგვაწვდიან ნედლეულს, ხოლო შემდეგ საკუთარის წარმოებასაც დავიწყებთ. ჩვენი ნედლეულის ხარისხი გაცილებით უკეთესია უცხოურზეო.

ქართველი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ტექნოლოგიის ასათვისებლად გერმანიაში მიიწვიეს. კოსმეტიკური ფანქრების უშუალო მწარმოებლები დღეს მთლიანად ადგილობრივი სპეციალისტები არიან. თანამშრომლობის სხვადასხვა ეტაპზე ერთობლივ საწარმოს სხვა ევროპული ფირმებიც შემოუერთდნენ — „არბურგი", „ვეკერდე" „შარიმგი", „ლაიბოლდი" და „კოხი". ისინი მომავალში საწარმოს პროფილის გაფართოებასაც გულისხმობენ. ჩვენს უცხოელ პარტნიორთან, ბატონ შლისერთან საუბარში აღინიშნა, რომ კიდევ უფრო გაიზრდება პროდუქციის ასორტიმენტი. ფიქრობენ, გამოუშვან დეფიციტური მედიკამენტები (რისთვისაც საწარმოო გაერთიანება „აზოტში" უკვე შენდება ახალი შენობა), შესაფუთი კოლოფები, კოსმეტიკური ჩანთები. საქართველოში ახალი ტექნოლოგიით შექმნილი ნაწარმი ინტერესს და ყურადღებას დაიმსახურებს მსოფლიო ბაზარზე. იგი გამოირჩევა ხარისხითაც და ესთეტიკურადაც.

საწარმოში მიმდინარე ტექნიკური პროცესების გაცნობის შემდეგ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ.

— მაღალი ტექნოლოგიითა და შრომის ნაყოფიერებით ეს საწარმო ერთ-ერთი გამორჩეული გახლავთ ჩვენს რესპუბლიკაში. იგი 120 მილიონი მანეთის პროდუქციას შექმნის. 100-მდე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი იქნება დასაქმებული. ეს რესპუბლიკაში რეკორდულ შრომის ნაყოფიერებას მოგვცემს. წარმოება საკმაოდ ეკონომიკურია. თითქმის მინიმალურია ენერგიის ხარჯი, ხოლო წყალი, მეორად გამოყენებაშია. მიღებული პროდუქციის თვითღირებულება ძალზე დაბალია და მიუხედავად ასეთი მცირე დანახარჯებისა, იგი მაღალი ხარისხისაა და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ამიტომ არავითარი ეჭვი არ არის, რომ მასზე დიდი მოთხოვნილება იქნება როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

პრეზენტაციაზე გამოითქვა მომხმარებელთა აზრიც. ქართველი სპეციალისტების მიერ დამზადებული კოსმეტიკური ნაწარმი ფერთა სილამაზით, პრაქტიკულობით და ესთეტიკური მიმზიდველობით გამოარჩიეს და მოიწონეს. ასე რომ, თქვენც წარმატებებს გისურვებთ, საქართველოს ისედაც მშვენიერო მანანებო!

რიტა ბაინდურაშვილი



დავით იაკობაშვილის ფოტოები





# საყმაწვილო გვერდი

## ქოქოთი





### ბიძია კურდღელი და მკვდარი დეიდა მელა

კოლუმბიური ზღაპარი

მხატვარი ცინარა ტერელაძე

შეიყარნენ ერთ დღეს ბიძია მგელი და დეიდა მელია და დაიწყეს ბჭობა, როგორ დაესაჯათ ბიძია კურდღელი, რომელიც ყოველ დღე ახალ-ახალ ოინებს უწყობდა ტყის ბინადართ და მოსვენებას უკარგავდა მათ.

კურდღლის ყველა ოინბაზობა გაიხსენეს: თუ როგორ დაფუფქა გრძელყურამ მდუღარე წყლით ბიძია მგელი, როცა ის მონადირე ძაღლებს დაემალა ბუნაგში, თუ როგორ მოატყუა დეიდა მელია, დღესასწაულზე წაგიყვანო, ზურგზე შეაჯდა და წამახული დეზებით ფერდები დაულილავა და ვინ მოსთვლის კიდევ რა არა. ლომთანაც კი უჩივლეს რამდენჯერმე ცხოველებმა, მაგრამ ტყის მეფე მხოლოდ იცინოდა კურდღლის ოინებზე.

ბევრი იფიქრეს, იმსჯელეს და გადაწყვიტეს, როგორმე დეიდა მელიას სახლში შეეტყუებინათ ბიძია კურდღელი და იქ გასწორებოდნენ. გადაწყვიტეს, დეიდა მელიას თავი მოემკვდარუნებინა, ბიძია მგელს კი მთელი ტყისთვის მოედო ეს სამწუხარო ამბავი. ცნობისმოყვარე კურდღელი ეჭვი არაა, მოირბენდა მკვდარი მელიის სანახავად. მაშინ მგელი და მელია ერთად ეცემოდნენ და შეჭამდნენ აბეზარას.

მართლაც, წავიდა დეიდა მელია სახლში, საწოლზე გაიჭიმა და თავი მოიმკვდარუნა. ბიძია მგელი კი ყმუილით გამოვარდა გარეთ:

—მეზობლებო, დეიდა მელიამ თათები გაფშიკა, მიდით, ერთად დავიტიროთ, აუუ!

ეს ხმა ბიძია კურდღლის ყურამდეც მივიდა, რომელიც მაშინვე გაიქცა ხეირის საყურებლად. მაგრამ, დეიდა მელიის სახლის კართან რომ მივიდა, ცოტა არ იყოს, დაეჭვდა, მახეს ხომ არ მიგებენო და გადაწყვიტა გამოეცადა დეიდა მელია. ღია კართან გაიარ-გამოიარა და ხმამაღლა ფიქრი დაიწყო:

— ხმა მომივიდა, დეიდა მელია მოკვდაო, მადლობა ღმერთს, ტყუილი ყოფილა. მკვდარი მელია მარჯვენა ფეხს უნდა ახავსავებდეს, ეს კი გაუნძრევლად წევს.

ამის გაგონებაზე დეიდა მელიამ მარჯვენა ფეხი გაატოკა, კურდღელმა კი სიცილით მოკურცხლა და მიაძახა: ეგ ხაკენკი სხვას დაუყარე, შენი მოსატყუებელი კბილი რა ხანია მოვიცვალეო.

ესპანურიდან თარგმნა თეა გვასალიძე

1976 7

ბიბლიოთეკა



# სწავლა სახალისო რომ იყოს ანუ ინგლისური ენის სწავლებისადმი კომუნიკაციური მიდგომა

ოცდაორი წლის წინათ ნანა შათირიშვილი, სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი პედაგოგიკის ინსტიტუტში თვალსაჩინო მეცნიერის ოთარ ხაზარაძის მიერ ჩამოყალიბებულ „სწავლების ტექნიკურ საშუალებათა" ლაბორატორიაში მივიდა, რომ დასახული მიზანი განეხორციელებინა — ბავშვებისათვის ინგლისური ენის შესწავლა სახალისო გაეხადა. არც უფროსის გარდაცვალების, არც ლაბორატორიის დახურვის შემდეგ შეუწყვეტია მუშაობა ნანას. იგი 45 სამეცნიერო შრომის ავტორია. კომპიუტერული კურსის დამუშავებაში გაწეული დიდი შრომისათვის მიანიჭეს ნანა შათირიშვილს 1989 წელს სახელმწიფო პრემია. მისი საკანდიდატო დისერტაციაც სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას, სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციას ეხებოდა. ქალბატონმა ნანამ თანაავტორებთან ერთად შეადგინა X—XI კლასების უკვე მოქმედი სახელმძღვანელოები. ამჟამად კი მარინე ქლენტთან და ირინე ჩიბურდანიძესთან ერთად მუშაობს ჰუმანიტარული პროფილის მოსწავლეთათვის IX კლასის ინგლისური ენის სახელმძღვანელოს შექმნაზე. სწორედ ამ წიგნის ექსპერიმენტულმა ვარიანტმა გაუხსნა გზა ნანას და მის თანაავტორებს თავიანთი ოცნების ასრულებისაკენ — ენახათ ინგლისი.

— ქალბატონო ნანა, თუ შეიძლება მოკლედ გვითხარით, ვინ მიგიწვიათ ინგლისში და საერთოდ, რამ განაპირობა ეს მიწვევა?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს ინგლისიდან ჩამოსული სპეციალისტი — დევიდ როუსონი, რომელიც ბრიტანეთის საბჭოს („ბრითიშ ქანსლ") წევრია. ეს ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში ეწევა ინგლისური ენის პროპაგანდას. მე და ჩემს კოლეგებს არაერთხელ მიგვიმართავს ბატონი დევიდისათვის წიგნზე მუშაობის პერიოდში. სახელმძღვანელოს ექსპერიმენტული ვარიანტის გამოსვლის შემდეგ ჩვენ ერთი ეგზემპლიარი მას ვაჩუქეთ. სწორედ მისი მეშვეობით, მოსკოვში სათათბიროდ შეკრებილმა ბრიტანეთის საბჭოს წევრებმა მიგვიწვიეს ინგლისში.

— რა სიახლეები ნახეთ და რა საჭირო გამოცდილება შეიძინეთ ინგლისში ყოფნის დროს?

— ძირითადად ლონდონში ვცხოვრობდით, ვიყავით ლიდსში, სუონზსა და ეგზეტერში. ძალიან დატვირთული დღეები იყო. ზღვა ინფორმაცია მივიღეთ — შევხვდით ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ავტორებს, ცნობილ მეთოდისტებს, მასწავლებლებს..., გავეცანით მოწინავე მეთოდიკას, ახალ წიგნებს, რომელთა დანიშნულებაც იყო სახალისო, გასართობი და სასიამოვნო გაეხადათ ინგლისური ენის შესწავლა. ძირითადად სახელმწიფო ტიპის სკოლები დავათვალიერეთ. აღსანიშნავია, რომ კლასში ბავშვებს ეძლეოდათ საშუალება ინდივიდუალურად ემუშავათ. მასწავლებელი მოსწავლეს არ აიძულებდა მისთვის ესმინა. ყველა აკეთებდა იმას, რაც მას აინტერესებდა. სწავლა ტარდებოდა პრინციპით „არ არის აუცილებელი ყველამ ყველაფერი იცოდეს". მასწავლებელი აწვდიდა მათ გარკვეულ ინფორმაციას, შემდეგ კი მოსწავლეები თავიანთი მისწრაფებების, ინტერესების, უნარის შესაბამისად იღრმავებდნენ ცოდნას. მასწავლებელი, როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური მუშაობის პროცესში ეხმარებოდა მათ — ამარაგებდა საჭირო ინფორმაციით, რჩევით, აყალიბებდა და ხვეწავდა თითოეული მოსწავლის პიროვნულ თვისებებს, ინტერესებს. მაგალითად, ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი იყო უფროსკლასელებთან ჩატარებული ერთი გაკვეთილი, რომელიც ძველ ეგვიპტეს ეხებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ მასწავლებელი კლასში საკმაოდ თავისუფლად გრძნობდა თავს, გაკვეთილის ახსნისას ზოგჯერ მაგიდაზეც შემოჯდებოდა. მოსწავლეთა ნაწილი მას ყურადღებით უსმენდა, ზოგი კი თავისთვის ინდივიდუალურად მუშაობდა, რაც მასწავლებელს საერთოდ არ უშლიდა ხელს გაკვეთილის ახსნაში. რა თქმა უნდა, კლასი სავსე იყო წიგნებით, მაკეტებით, ნახატებით ძველ ეგვიპტეზე, როგორც შემდეგ მასწავლებელმა აგვიხსნა, თითოეული მოსწავლე ამუშავებდა თემას ეგვიპტის შესახებ იმ კუთხით, რაც მას აინტერესებდა. საბოლოოდ კი იმართებოდა კონფერენცია, რომელზეც თითოეული მათგანი წარმოადგენდა თავის ნამუშევარს — მოხსენება იქნებოდა ეს, ნახატები, სიმღერა, თუ სხვა რამ. ცხადია, ამგვარ კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეები გაცილებით მეტ ცოდნას იღებდნენ. ჩვენ დავესწრით, აგრეთვე, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა გაკვეთილს ინგლისურ ენაში (ყურცხოელი ბავშვები სწავლობენ ინგლისურს). სადაც პატარა მაგიდებთან მსხდომი მოზარდები თავიანთი საქმით იყვნენ გართულები. ჰქონდათ უამრავი წიგნი, სათამაშო, კომპიუტერი... ერთი სიტყვით, ყველაფერი ის რაც ასე გაახარებდა ბავშვის გულს და სწავლას სახალისოს გახდიდა.

საქმისადმი ასეთი მიდგომა უეჭველად საუკეთესო შედეგს იძლევა: რაშიც ჩვენ თვითონ დავრწმუნდით იქ ყოფნის დროს.

ინგლისური ენის მასწავლებლებთან და მეთოდისტებთან საუბრებმა, ინგლისური ენის სახელმძღვანელოების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სწორი გზით მივდივართ, რომ საჭიროა სწავლებისადმი კომუნიკაციური მიდგომა. რა თქმა უნდა, მე და ჩემი კოლეგები მრავალ სიახლეს გავეცანით, რაც უეჭველად დაგვეხმარება ქართველი მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის სახელმძღვანელოების უკეთ შედგენაში.

— ქალბატონო ნანა, ორიოდე სიტყვით გვითხარით თქვენი მომავალი გეგმების შესახებ?

— სახელმძღვანელოზე მუშაობას ალბათ მალე დავამთავრებთ. შემდგომშიაც განუწყვეტელი მაქვს თანაავტორებთან — მარინე ქლენტთან და ირინე ჩიბურდანიძესთან ერთად ისევ გავაგრძელო მუშაობა ჰუმანიტარული პროფილის X-XI კლასების სახელმძღვანელოებზე. შევქმნათ ამ კლასებისთვის სასწავლო მეთოდიკური კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შევა წიგნები მოსწავლეთა ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისთვის, წიგნები მასწავლებლებისათვის, აგრეთვე, ლინგაფონის კურსი, სასწავლო ფილმები, კომპიუტერული კურსი, დამატებით საკითხავი ლიტერატურა.

— გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში.

ესაუბრა თამარ ნინიძე

# პანკისელი ხელმარჯვეები

ახმეტის რაიონს აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტურ რუკას უწოდებენ.

პანკისის ხეობას თუ შეუყვებით, თვალს მოგტაცებთ ალაზნის პირას, ფერდობებზე შეფენილი პატარ-პატარა სოფლები. აქ საქართველოს მთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული ბევრი ოჯახი ცხოვრობს — კახელები, თუშები, ხევსურები, ფშაველები, ქისტები... ყველას თავისი კუთხის მრავალფეროვანი ტრადიცია აქვს. 1848 წლიდან პანკისის ხეობაში ჩეჩენო-ინგუშეთიდან ქისტებიც ჩამოვიდნენ.

დღეს საკობიანოში, ყვარელწყალში, კუწახტაში, დუისში, ჯოყოლოში, ბირკიანში ხალხური ხელოვნების ბევრი ოსტატი ცხოვრობს. მათ ქმნილებებში თუშურმა, ფშაურმა, ხევსურულმა, ქისტურმა თავისთავადმა ხელოვნებამ ახალი სიცოცხლე შეიძინა.

დუისის ხალხური მხატვრული რეწვის საწარმოო უბანი, ბევრ შვილები, ძარო მარგოშვილი, თოაით და ჰავა ბალაკაშვილები მოთელილი ფარდაგების თექების, ნაბდების დამზადების ოსტატები არიან.

მატყლის გაწყობა და მოთელვა დიდი ხელოვნებაა.

მიმზიდველი და საინტერესოა „სოლანის" თუშური ჩითები, კახური ქუდები, ფარდაგები, თექები.

ხეზე კვეთის ოსტატებიდან განსაკუთრებით გაითქვეს სახელი იბო ფარეულიძემ, ხეედი ქავთარაშვილმა, ილია გუშანაშვილმა, იჩო ღანიშაშვილმა. ისინი ხეს მდინარის წყლით, ძველისძველი მამაპაპური წესით ამუშავებენ. ხის მხატვრული დამუშავების საამქროს ჩარხი ხორაჯოს ხევში დგას და წყლით მომუშავე პრიმიტიულ დაზგად ითვლება. მაგრამ მისი მეშვეობით მოჩუქურთმებულ თეფშებსა და ხონჩებს, ხილის ლარნაკებს, კოვზებს, სავარძლებს, ტაბაკებს, ლიქიორისა და კონიაკის სასმელების კომპლექტებს ბადალი არა ჰყავს.

„სოლანის" ადრინდელი თავკაცის მახმად მარგოშვილის ჩანაფიქრით ბევრი სხვა წამახალისებელი ჯილდოც მიიღეს.

ახმეტური ხალხური ხელოვნების ნაწარმი მოსკოვისა და იზმირის გამოფენებზე ბევრჯერ იყო წარმოდგენილი. პანკისელ ოსტატთა ნახელავი ახმეტიდან იაპონიაშიც გაიგზავნა. ზაირა მარგოშვილის მიერ დამზადებულმა ბეწვიანმა მოთელილმა ფარდაგმა მოსკოვის ხალხურ ხელმარჯვეთა ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ხალხური ხელოვნების ნიმუშები არაერთხელ იყო ექსპონირებული საერთაშორისო გამოფენებზე, რომლებიც პლოვდივში, ვარშავაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, კანადაში, ჩეხოსლოვაკიაში და გერმანიაში მოეწყო, ფირმა წარმატებით მონაწილეობდა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებში, რომლებიც პარიზში, ბაზელში, ლაიფციგში ვენაში, ბაღდადში გაიმართა, სადაც სპეციალისტთა და მოყვარულთა მაღალი შეფასება მოიპოვა.



ხალხური შემოქმედების თითქმის თვითნასწავლ ოსტატს აერთიანებს და ყოველწლიურად საწარმო ასორტიმენტს აფართოებს.

დიდი სიყვარულია საჭირო, რომ ხის კუნძებს სიცოცხლე შთაბერო, ანდა შენი კუთხის თავისებურებანი ჩააქსოვო მატყლის ნაწარმში. პანკისელებმა კი ფერთა შეხამებაც დიდებული იციან, ქსოვაც და მოჩუქურთმებაც.

ნაზისად ბალაკაშვილი, ალცანეი მარგოშვილი, ელო და ვანო ქავთარამეცხვარის „უილეტი" შეიქმნა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და ბევრი მყიდველი გაიჩინა. მახმადი ერთი ვაჟისა და ოთხი ქალიშვილის მამაა. მთელი ოჯახი მისდევს ხალხურ ხელოვნებას. ასმათმა, ზაირამ, ნათელამ და თამილამ ნაბდის კარგი მოთელვა იციან. ისინი კახურ და სვანურ ქუდებს ამზადებენ, ნაირფერ წინდებს ქსოვენ. თვითნაკეთი ხელოვნების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე სრნა მარგოშვილი და მისი ოთხი ქალიშვილი პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს, ყველა სახეობა, თავისთავადობით გამოირჩევა. დღევანდელ სოფლებში ბევრი ოჯახია, სადაც ხალხური ოსტატები ცხოვრობენ და მდიდარ ტრადიციებს აგრძელებენ. მათი დამზადებული ხალიჩა „ნაბადი" გასაოცარია თავისი მრავალფეროვნებით, ასევე ითქმის სხვა ნიმუშებზე.

ჭეშმარიტად ერისთვის საშურ საქმეს აკეთებენ პანკისის ხეობის ხელმარჯვე ოსტატები.

იზა ჯაჭვაძე



# ბავშვის დაბა-დებამ-დე

უველამ, ვისაც შვილის გაჩენა სურს, უნდა იცოდეს, რომ მშობლების სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული დაავადებები უარყოფით გავლენას ახდენს მომავალი ბავშვის ჯანმრთელობასა და მის სიცოცხლისუნარიანობაზე.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა ქალები გარეგნობას, კოსმეტიკასა და ჩაცმა-დახურვას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ვიდრე ფიზიკურ ჯანმრთელობას.

ცივილიზებულ ქვეყნებში ფიზიკურის გარდა, ადამიანის ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მხედველობაში გვაქვს არა ფსიქიური დაავადებები, არამედ ადამიანის გუნება-განწყობა. მისი ფსიქოლოგიური კომფორტი.

საქართველოს რესპუბლიკის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია სტრესული სიტუაციების (ახლობლის სიკვდილი, ოჯახური თუ სამსახურებრივი უსიამოვნებანი) უარყოფითი გავლენა ორსულ ქალებზე. მათ მიერ გაჩენილ ახალშობილებში სიკვდილიანობა სიცოცხლის პირველ კვირას ორჯერ უფრო ხშირია, ვიდრე სხვა ახალშობილებში.

ბოლო დრომდე ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობას მხოლოდ დედას უკავშირებდნენ, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მამის ჯანმრთელობას არანაკლები გავლენა ჰქონია ბავშვზე. თუ ორივეს უჯრედი სრულფასოვანი და ჯანმრთელია, ნაყოფიც ჯანმრთელი იქნება. თამბაქოს, ალკოჰოლიანი სასმელების უზომო და ხშირი მიღება, ნარკომანია, აქვეითებს ახალშობილის სიცოცხლისუნარიანობას და უარყოფით გავლენას ახდენენ მომავალში ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე.

თუ ორსულობის პერიოდში ქალს აქვს კონტაქტი ქიმიურ ნივთიერებებთან, გამოსხივებასა და ვიბრაციასთან, ბავშვი ხშირად სიცოცხლის პირველ დღეებშივე იღუპება. კანონმდებლობით აკრძალულია ქალის დასაქმება ისეთ სამუშაოებზე, რომლებსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მომავალი ბავშვის ჯანმრთელობას. დამტკიცებულია ასეთი სამუშაოების ნუსხა. პროფკავშირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ წარმოება-დაწესებულებებში ქალის, მით უმეტეს, ორსულის შრომის დაცვა.

ზედმეტად მსუქან ქალებში უფრო ხშირია მშობიარობის გართულება და მკვდრად შობადობის შემთხვევები.

ბავშვის გასაჩენად ყველაზე ნორმალურია 18-25 წლის ასაკი. აღმოჩნდა, რომ მშობიარობამდე გადატანილი ორი და მეტი ხელოვნური აბორტი თითქმის ორჯერ ზრდის მშობიარობის არასასურველ შედეგს. დასკვნა ერთია: ყოველი ხელოვნურად შეწყვეტილი ორსულობა წინ გადადგმული ნაბიჯია მომავალი ორსულობის ტრაგიკული დასრულებისაკენ.

ქალთა კონსულტაციის ექიმის მეთვალყურეობა რიგ შემთხვევაში ხელს უწყობს სხვადასხვა გადახრების დროულ გამოვლენას და აღმოფხვრას.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის კვებას დედის ძუძუთი, რისთვისაც საჭიროა წინასწარი მომზადება ორსულობის პერიოდში, ეს კი მომავალ დედას ქალთა კონსულტაციის პერსონალმა უნდა შეასწავლოს, რაც ყოველთვის როდი კეთდება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მომავალი დედის სანიტარიულ განათლებას. ბავშვთა პოლიკლინიკებში უნდა არსებობდეს ახალგაზრდა დედების სკოლა. ჩვენი ქალაქის ბავშვთა პოლიკლინიკები კი სუსტად იყენებენ ახალგაზრდა დედების სკოლის შესაძლებლობებს.

ქალებს დედობისათვის აღზრდის ყველა ეტაპზე უნდა ამზადებდნენ. ამ საკითხების მოგვარებას არავითარი ზედმეტი ხარჯი არ სჭირდება.

საჭიროა მხოლოდ მონდომება და პასუხისმგებლობა. ახალშობილის სიცოცხლის სრულფასოვნების უზრუნველყოფა მთელი საზოგადოების მოვალეობაა, მაგრამ, ყველაზე დიდი როლი და პასუხისმგებლობა, მაინც მშობლებსა და ოჯახს ეკისრება. ამისათვის ზრუნვა კი მშობიარობამდე დიდი ხნით ადრე უნდა იწყებოდეს.

ლუდმილა ლომია,
პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის მთავარი პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოჰ ჩემო ბედის ვარსკვლავო




## 21 აპრილი — 21 მაისი

მე-2 ნიშანი ზოდიაქოსი, 1 მიწის ნიშანი 1 მუდმივი ნიშანი.

ასტრონომიული ფერი: გაზაფხულის ფერები — ლიმონისფერი, თეთრი, მწვანე და იისფერი;

ბედნიერი რიცხვი: 6 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 6-ზე იყოფა,

ასტროლოგიური ქვები: ბრილიანტი, ოპალი, მთვარის ქვა.

კურო (ხარი) უზუსტესი ასტროლოგიური სიმბოლოა ამ ნიშნისა. კუროს ხშირად ეძახიან „მარილს ქვეყნისა“, რადგან სიტკბოება აკლია, მან ზუსტად იცის, რაც სურს და შეუპოვრად იღწვის ამისათვის. ტიპიური კურო თბილი, მეგობრული, ნაზი და მგზნებარე ადამიანია, თუმცა თავშეკავებულიც. იგი ჰოროსკოპის მე-2 სახლს მართავს, რომელსაც ხშირად „ფულის სახლს“ უწოდებენ. ამიტომაც იგი საოცარი მატერიალისტია და მისი ფინანსური საქმეები დიდ გავლენას ახდენს მისივე ცხოვრების სქესობრივ სფეროზე.

კუროს მართავს პლანეტა ვენერა, რომელსაც მისთვის ბედნიერება და წარმატება მოაქვს. იგი ანიჭებს კუროს მომხიბვლელობას მეგობრისა და სატრფოს თვალში, მასავე უწილადებს იმ ხიბლს, რომლითაც იზიდავს ყველას.

შესაძლებელია კურო ყველაზე მეტად მგრძნობიარე ნიშანი იყოს ზოდიაქოსი. კუროები კარგი მეუღლეები — ალალი და ერთგული ცოლები არიან. მათ შეუძლიათ შექმნან ოჯახში მშვიდობიანი ატმოსფერო და ჰარმონია, კუროთა უმეტესობა მშრომელია,

კუროები გვერდს ვერ აუვლიან ხელოვნებას, მუსიკას, მაგრამ უმეტეს წილად მათ მაინც ადამიანის სხეულის სილამაზე ხიბლავთ. მართალია, კუროები პოეტობით გამოირჩევიან, მაგრამ ძვირფასი საჩუქრის მირთმევას პოეტური გრძნობების გამოვლენაზე მაღლა აყენებენ. მათ ურჩევნიათ იმღერონ ანდა სიმღერას მოუსმინონ, ვიდრე ისაუბრონ. მსახიობთა უმრავლესობას, კერძოდ, ტელე და რადიოდიქტორებს (კუროებს) ბედი წყალობთ, ვინაიდან თავიანთი პროფესიისათვის საჭირო და სასიამოვნო ხმა აქვთ.

კურო მშვიდობისმოყვარე ადამიანია და ჩვენს დროში, როდესაც ყველა იმისკენ მისწრაფის, რათა მძაფრად გამოავლინოს თავისი სურვილები, იგი მაგალითია კეთილმოსურნეობისა, ძალისა და ნიჭის წყალობით კუროს შეუძლია ენერგიის კონცენტრირება მხოლოდ ერთზე და ამიტომ ადვილად აღწევს წარმატებას. ისინი იმარჯვებენ იმ საქმეებში, რომლებიც დროსა და გაბედულებას მოითხოვს. კუროები ხშირად წამოაყენებენ ხოლმე ისეთ კომერციულ იდეებს, რომლებიც თავიდან უმნიშვნელოდ გვეჩვენება, ხოლო მოგვიანებით ეროვნულ მასშტაბებს იძენს.

დაქორწინებული კურო იშვიათად თუ ეყრება მეუღლეს. ისინი ერთგულნი რჩებიან ბოლომდე თუ ფიზიკურად არა, სულიერად მაინც. მამაკაცებმა თავისუფლად უნდა იქორწინონ კურო ქალებზე, რადგან ისინი ძლიერი, კეთილშობილი მეუღლეები არიან, დაინტერესებულნი ქმრების საქმეებით, რომელთაც მხარს უბამენ პრაქტიკული რჩევებით. კუროს ნიშნით დაბადებულებს ვენერა გამოუძებნის ხოლმე მათთვის სასურველს სიყვარულისა და პიროვნების ქორწინებისათვის.

უარყოფითი თვისებებიდან აღსანიშნავია კუროების სიჯიუტე, გულგრილობა, ეგოიზმი, ამას ემატება გადაჭარბებული სიფიცხეც. კუროებმა ყური უნდა ათხოვონ კრიტიკას, შეეცადონ გაითვალისწინონ იგი და ჯიუტად არ იმოქმედონ.

კუროს დამოკიდებულება სექსისადმი შეიძლება სულ ადვილად გადაიზარდოს უკიდურესად პროზაულში, თუ იგი თავის პარტნიორთან დიდი გრძნობებით არ არის დაკავშირებული, ან კიდევ უბრალოდ, თავს აბეზრებს მას. მამაკაცებიც და ქალებიც ძალზე თავშეკავებულნი არიან. სქესობრივი აქტის დროს ისინი ხშირად მოქმედებენ იმპულსების გავლენით. ფიზიკურად ძლიერებს არ აკმაყოფილებთ ერთი სქესობრივი აქტი.

კუროსთვის შესაფერისი პარტნიორებია: 29,5 წლამდე ქალწულისა და თხის რქის ნიშნის ადამიანები, რადგან ყველა ისინი დედამიწის ნიშნებია, მაგრამ, ამასთან ერთად, არჩევანის დროს კურომ უნდა გაითვალისწინოს, თუ აირჩევს ქალწულს — იგი ლამაზია, მაგრამ ცივი და თუ აირჩევს თხის რქას მართალია, პირველ ხანებში კარგად შეეწყობიან, მაგრამ მოგვიანებით თხის რქა უკვე ვეღარ დააკმაყოფილებს კუროს სექსუალურად.

29,5 ასაკის შემდეგ კურო სულიერად მაღლდება და შეუძლია მოძებნოს შესაფერისი პიროვნება ტყუპებისა და ვერძის ნიშნებს შორის. ტყუპები ავსებენ მის ინტელექტს, ხოლო ვერძი აძლევს ცეცხლსა და ენერგიას. ვერძი და ტყუპები საკმაოდ ინტელექტუალური ნიშნები გახლავთ და ვინაიდან კურო სულაც არ ფრენს ღრუბლებში, ზოგჯერ სასარგებლოც იქნება ოდნავ მაინც მოვწყვიტოთ იგი დედამიწას. ეს იმისთვის, რომ მან შეძლოს კარგად გადახედოს თავის ცხოვრებას და შეცვალოს მომავალი.

41,5 წლის შემდეგ, როდესაც კურო უკვე მიაღწევს სანადელ კეთილდღეობას, მზად იქნება უფრო ღრმა, იდეალური ურთიერთობა დაამყაროს პარტნიორთან. იგი ამ შემთხვევაში კარგად ეგუება დრაკონსა და მშვილდოსანს. კურომ სწრაფი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს. იგი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მისი პარტნიორი მეტად განვითარებული ტიპია (თავისი ნიშნისა), თორემ სხვაგვარად ყველაფერი დაილუპება.

კუროები ყველაზე ძვირადღირებული სექსუალური პარტნიორები არიან მსოფლიოში. მათ სურთ დაეუფლონ ყველაფერს და სიამოვნებით ებმებიან „სიყვარულის ეკონომიკის“ თამაშში. საოცარი ხელოვნებით იყენებენ ფულს პირადი მიზნების, განსაკუთრებით სექსუალურის დასაკმაყოფილებლად. კუროს არ ჰყოფნის ერთი ადამიანი: მას სჭირდება არა მარტო ხარისხი, არამედ რაოდენობაც. კუროს უნდა ორი სახლი, ორი მანქანა და თუ დაუშვებულია ორი ცოლი, მაშინ — ორი საყვარელი, ქალი — კურო ზოგჯერ ფულსაც იშველიებს სასურველი მამაკაცის ხელში ჩასაგდებად.

კუროს უნარი შესწევს დააგროვოს ფული შავი დღისთვის, ეს ის ხალხია, ვინც ფინანსურ უძრაობებს და ჩავარდნებს გადალახავს და ჭკვიანურად შეიძენს იმ საგნებს, რომლებიც მუდამ ფასობს, მაგალითად, მამულებსა და საიუველირო ნაკეთობებს. მოკლედ, არავინ ფლობს ისე ძალუმად ფულადი მანიპულაციების ხელოვნებას, როგორც „ფულის სახლის“ მეპატრონე.

# გარდასულ დღეთა ლანდები



გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულმა მუზეუმმა გალაკტიონ ტაბიძის ექსპოზიციის მოწყობის ხელმძღვანელობა ნინო ჩიხლაძეს დაავალა. ნინომ მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად თითქმის ორი თვე იმუშავა. გალაკტიონს მისვლას ვერ ასწრებდა. იგი ყოველთვის დარბაზის კარებთან ხვდებოდა. ნინოს შეკითხვაზე, როგორ ასწრებდა ასე ადრე მოსვლას, გალაკტიონმა უპასუხა: — თქვენ თუ წუხდებით ჩემთვის, მე ჩემს საქმეზე ყოფნა რად უნდა გამიჭირდესო. გამოფენის მოწყობა ბავშვივითახარებდა პოეტს და თავისი განწყობილება ლექსადაც გამოხატა: „ნინო ქალო, ნინო ქალო, ჩემი გამოფენის თვალო".

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ლიტერატურის მკვლევარმა ნინო ჩიხლაძემ წარმოაჩინა და ჩვენი ლიტერატურის საგანძურში შეიტანა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის და მეოცე საუკუნის დასაწყისის მივიწყებული ან ნაკლებად ცნობილი მწერალი ქალების ცხოვრება და შემოქმედება.

ამის დასტურია მისი წიგნები: „დომინიკა ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა", „იმერელი ქალი" (ლიდია მგალობლიშვილი), „ვაჟა ფშაველა მოგონებებში", „ქეთო ჯაფარიძე", „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები". ეს არასრული სიაც ნათელყოფს მკვლევარი ქალის ღვაწლსა და ამაგს.

გასული საუკუნის ჩ0-იანი წლების მოღვაწე ქალები ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის მებრძოლი ანთებული კელაპტრები იყვნენ და ძველი ქართული ჟურნალ-გაზეთები „ივერია", „კვალი", „დროება", „თეატრი და ცხოვრება" მათი სამოქმედო ასპარეზი გახლდათ.

— წერე მხოლოდ ქალებზე, ქართველ მწერალ ქალებზე, — ურჩია გიორგი ლეონიძემ ლიტერატურული მუზეუმის ახალბედა თანამშრომელს და შემდეგშიც თვალყურს ადევნებდა მის საქმიანობას.

„წავიკითხე შენი წერილი ბაბილინაზე (გულისხმობდა ხოსიტაშვილს). ყოჩაღ, ასე ნაყოფიერად იმუშავე. ჩვენ დიდებული ქალები გვყავდნენ, მხოფლიოს ვერც ერთი ერი ვერ დაიკვეხნის ისეთი ქალებით, როგორც ჩვენ. საქართველოს არსებობას მათ შთაბერეს სული. წერე, იმუშავე ამ მიმართულებით, ეს შენ დიდების გვირგვინს დაგადგამს".

ნინო ჩიხლაძე მართლაც რომ გოგლას დალოცვილი გზით დადის და მუშაობს. იგი დიდი არქივის — სამასამდე მეცნიერულ-პოპულარული სტატიის და ცამეტი წიგნის, მათ შორის ორი მონოგრაფიის ავტორია. მან თარგმნა ბორის ემელიანოვის „მოთხრობები გაიდარზე".

ოცი წელიწადი ლიტერატურის მუზეუმში იმუშავა. გალაკტიონზე, გოგლასა და გრიშაშვილზე საინტერესო მოგონებები შექმნა და მუზეუმს გადასცა.

წიგნი — მონოგრაფია დომინიკა ერისთავზე მდიდარ ლიტერატურულ მასალაზეა აგებული. ავტორმა შეაგროვა უამრავი, დღემდე უცნობი ფაქტი, რომლებიც „განდეგილის" ცხოვრებასა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას აშუქებს. დომინიკა ერისთავის შემოქმედებაზე მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.

„ვაჟას მოგონებებში" მკვლევარი ქალი გვაცნობს დიდი მგოსნის მშობლიურ კუთხეს, ჩარგალს, გულთბილად წერს ვაჟას ერთგულ მეუღლეზე — ქალბატონ თამარზე. ჩარგალში ნინომ ერთი ზაფხული გაატარა და თამარს დაუმეგობრდა. თბილისში თამარმა ორი წელი იცხოვრა ქალბატონ ნინოსთან. ლიტერატურულ საღამოებზე დიდი მგოსნის მეუღლე ყოველთვის თან ახლდა ნინოს.

„მარტო მანანას სალონზე მთელი გამოკვლევა დაიწეროს, თუნდაც რომანი დაიწეროს, მაგრამ ეს საქმე ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა ქალებმა — თუნდაც ნინო ჩიხლაძემ უნდა ითავოს", ჩაუწერია დღიურში იოსებ გრიშაშვილს.

ნინო ჩიხლაძემ თხუთმეტი მწერალი ქალის ცხოვრება და შემოქმედება წარმოგვიდგინა ახლახან გამოცემულ სქელტანიან წიგნში „ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები": პოეტი და მთარგმნელი ბაბილინა ხოსიტაშვილი — იროდიონ ევდოშვილის და, ლიდია მეგრელიძე (მიმქრალი) — ისმაილ მამულაშვილის ქალიშვილი, რომლის საბავშვო ლექსები და მოთხრობები ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ოქროს ფონდშია. საფო მგელაძე — რომანების „ლიანა ლორდიასა" და „ქარიშხლის ფრთებზე" ავტორი, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი) — ნიჭიერი საბავშვო მწერალი. მარიამ ალექსიძე (მარიჯანი), რომლის ლირიკული ლექსები და მოთხრობები დიდი მოწონებით სარგებლობდა. ნინო მოგვითხრობს რომან „შორეული ლანდების" ავტორის დესპინე გელოვანის (ბანოვანის) მოღვაწეობაზე. წიგნში წარმოდგენილი არიან, აგრეთვე, მარიამ გარიყული, კატო მიქელაძე, დარია ახვლედიანი, ნინო ტყეშელაშვილი, ნატალია აზიანი (დანდუროვა), ნინო თარიშვილი, მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია, ანა ლვინიაშვილი. მარიკა მიქელაძე.

ნინოს ზრუნვითა და დახმარებით გამოიცა ნინო თარიშვილის ლექსების მეორე კრებული — „გვირილა".

მეოცე საუკუნის ოციან წლებში ყურადღება მიიპყრო ნინო თარიშვილის ლექსებმა. ახალგაზრდა პოეტ ქალს პაოლო იაშვილმა იმთავითვე ქართველი ანა ახმატოვა უწოდა. მისი ნაზი ლირიკა ხიბლავდა მკითხველს.

წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ცხოვრების ბრძოლასა და ჭიდილში ბევრი სახელი დაიკარგა. ბევრის ხსოვნა დავიწყებას მიეცა. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ არც ერთი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კვალი არ დაგვეკარგა. მზის სინათლეზე გამოგვეტანა იგი და სათანადო ადგილი მიგვეჩინა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში".

ასეთი ჩალვაწი შემოქმედი ქალისა კმაყოფილების მომგვრელია.

ეთერ ჯაფარიძე

● ამერიკის შეერთებულ შტატებს მოდის ახალმა ტალღამ გადაუარა, ეს არის ფერადი კბილები. ვაშინგტონელი სტომატოლოგის არტურო მენდოსას თქმით პანკები შავი ფერის კბილებს იკეთებენ, კოლეჯის მოსწავლეები ორფერა კბილებს აძლევენ უპირატესობას, ახალგაზრდობის დიდ ნაწილს კი ცისარტყელას ფერები მოსწონს და ღიმილისას შვიდფერად აელვარებენ კბილებს.





● არც თუ იშვიათად, ჩვენს ძაღლებს და კატებს ეზოში სეირნობის შემდეგ რწყილი უჩნდებათ. ნუ შეშფოთდებით, თუ ერთ მშვენიერ დღეს თქვენი ოთხფეხა მეგობრის ბეწვში რწყილს შენიშნავთ. მოიმარაგეთ ფიჭვის წიწვები და ცხოველის ბუდრუგანის ან ლეიბის ქვეშ ამოდეთ. რწყილები ფიჭვის სუნს ვერ იტანენ.

● ზამთარში ტუჩებს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. როგორც კი ტუჩების სიმშრალეს იგრძნობთ, კაკაოს ზეთი ან ვაზელინი წაისვით. უკეთესია თუ ამას სათხილამუროდ წასვლის ან ძილის წინ იზამთ. მოერიდეთ ზედმეტად ცხარე ან მარილიან საჭმელს და დაივიწყეთ ტუჩების ენით დასველების ჩვევა, რაც ტუჩების დასკდომას უწყობს ხელს.

● თუ გსურთ კარადიდან ნაფთალინის უსიამოვნო სუნი განდევნოთ, მის ერთ-ერთ უჯრაში ადუღებული რძით სავსე ჭიქა შედგით და კარადის კარი დახურეთ. რძე რომ გაცივდება, ჭიქა გამოიღეთ და ნახავთ, როგორ გაქრეს უსიამოვნო სუნი.

● მძიმე დღის შემდეგ დაღლილობას იოლად მოგიხსნით გვირილის აბაზანა. აიღეთ სამი ჩაის კოვზი გვირილის ყვავილი და ადუღეთ ½ ლიტრ წყალში ათ წუთს. გააჩერეთ ნახარში 30 წუთი, ამოიღეთ ყვავილები და სითხე აბაზანაში დაგროვილ წყალში ჩაასხით. 15-20 წუთი აბაზანაში იწექით და კვლავ საუცხოო ფორმაში ჩადგებით.

## სჭირდება თუ არა ბავშვს ოთხფეხა მეგობარი



● რომელ თქვენგანს არ გასჩენია სურვილი ბავშვობაში ჰყოლოდა საკუთარი ძაღლი ან კატა. როცა შვილი მოგმართავთ მსგავსი თხოვნით, უარის თქმას ნუ იჩქარებთ. მთელი ოჯახი დასხედით სათათბიროდ. პირველ რიგში ბავშვს აუხსენით, რომ ძაღლი ან კატა სათამაშო კი არა, ცოცხალი არსებაა, რომელსაც სიყვარული, ყოველდღიური მოვლა და გასეირნება სჭირდება. ბევრ ბავშვს ცხოველის შეძენიდან რამდენიმე კვირის თავზე უქრება ენთუზიაზმი და ოთხფეხა მეგობრის მოვლა მშობლებს აწვებათ კისერზე. ეს ცუდია. ბავშვი რომელმაც გადაწყვიტა ცხოველი იყოლიოს, თავად უნდა იყოს პასუხისმგებელი მასზე. ასეთი ბავშვები, როგორც წესი, თანატოლებზე ადრე ვითარდებიან და პასუხისმგებლობისა და ინიციატივის გრძნობა უჩნდებათ. უფროსებმა ბავშვს ცხოველის საჭმლის მომზადება, წყლის გამოცვლა, მათი დაბანა და გასეირნება უნდა ასწავლონ და ამავე დროს ჩუმად ადევნონ თვალყური, როგორ ასრულებს ბავშვი მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ბავშვსა და ძაღლს შორის სწრაფად ჩნდება სიყვარულისა და ერთმანეთზე ზრუნვის მოთხოვნილება. ხანდახან, სკოლიდან მობრუნებულ ბავშვს საღამომდე თავის ოთხფეხა მეგობრის გარდა ხმის გამცემი არავინ ჰყავს. როცა მშობლები სამსახურში არიან, ცხოველები ბავშვებს მარტოობის არასასიამოვნო გრძნობას უმსუბუქებენ.

თუ პატარას ვერ გადაუწყვეტია ძაღლი ჯობია თუ კატა, ჩვენი რჩევა გაითვალისწინეთ: ცელქ, მოძრავ, ურჩ ბავშვს ძაღლი უყიდეთ, მშვიდ, დამოუკიდებელ ბავშვს — კატა.

აკვარიუმში მშვიდად მოცურავე თევზიც კი ახალი, დიდი აღმოჩენებით სავსე სამყაროა ბავშვისთვის, ის ხიდია პატარასა და ბუნებას შორის, რომლის მეშვეობითაც ბავშვი (განსაკუთრებით ქალაქელი) უამრავ კითხვაზე პოულობს პასუხს.

ზოგიერთი მშობელი, იმის შიშით, რომ ოთხფეხა მეგობრის დაკარგვა დიდ სულიერ ტრავმას მიაყენებს მის შვილს, ამჯობინებს სულ არ უყიდოს პატარას ძაღლი ან კატა. ისინი თავიანთი შვილის გრძნობებს უფრთხილდებიან. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართალია, საყვარელი ძაღლის სიკვდილი მძიმე გამოცდაა ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკისთვის, მაგრამ ამავე დროს იგი უფრო მძიმე და მტკივნეული დანაკარგებისთვის ამზადებს პატარას, რაც, სამწუხაროდ, არც თუ ცოტაა ადამიანის ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში ბავშვის დამშვიდების საუკეთესო საშუალება ახალი ძაღლის ან კატის ყიდვაა. ბავშვი, რაც არ უნდა განსაკუთრებული სიყვარულით ყვარებოდა დაღუპული ცხოველი, სიამოვნებით მიიღებს მის შემცვლელს და მალე ახალი მეგობარი ერთადერთი და განუმეორებელი გახდება მისთვის.

**რჩევები მშობლებს, რომლებმაც ჩვენი წერილის შემდეგ ძაღლის ყიდვა გადაწყვიტეს.**

**კვება.** პირველ ხანებში თავად მოამზადეთ ძაღლის საჭმელი, მაგრამ სთხოვეთ შვილს, მან დაუდგას მეგობარს საჭმლით სავსე ჯამი. ამით ბავშვს გაუჩნდება სიამაყის გრძნობა, რომ თავად ზრუნავს ცხოველზე.

ეცადეთ შეაჩვიოთ ძაღლი ორჯერად კვებას. დილით აჭამეთ შედარებით მსუბუქად. საღამოს უფრო ნოყიერად.

ძაღლის საჭმელში უნდა შედიოდეს:

50% ხორცი, ძვლები ან თევზი (იანგარიშეთ 25 გრამი ძაღლის წონის ყოველ კილოგრამზე) აგრეთვე მარცვლოვანი საკვები და მოხარშული მწვანილი.

თვალყური ადევნეთ, რომ ძაღლს და კატას მუდამ ედგეთ სუფთა სასმელი წყლით სავსე ჯამი.

ხანდახან შეიძლება ძაღლს ჯილდოდ შაქრის კვნიტი მისცეთ, მაგრამ არამც და არამც არ შეაჩვიოთ იგი ტკბილეულს.

ნუ აიძულებთ ძაღლს სირბილით გაჰყვეს ბავშვის ველოსიპედს. ის ეცდება არ ჩამორჩეს და მოკლე ხანში დაიქანცება.

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალია**
ჟურნალი „მია" № 22,
1991 წ.

# ისპანახი ერბო-კვერცხით

ისპანახი ძალზე სასარგებლო ბოსტნეულია. იგი მდიდარია ცილებით (ამ მხრივ ოდნავ ჩამოუვარდება ხორცს). მასში საკმაო რაოდენობით არის აზოტი, ექსტრატული ნივთიერებანი და სხვა. რაც მთავარია, ისპანახის ქორფა ფოთლები და ღერო შეიცავს $A_1$, $C_1$, $B_1$ და $B_2$ ვიტამინებს. ისპანახში არის ისეთი ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის წარმოშობას.

200 გრამი ისპანახი იმდენ კალორიას შეიცავს, რამდენსაც — ერთი კვერცხი. ისპანახი და მისი მონათესავე ბოსტნეული — მჟაუნა, ჭინჭარი და სხვ. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კულინარიაში.

გარეცხილი და გადარჩეული ისპანახი ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით იმდენი ცხელი წყალი, რომ ოდნავ ფარავდეს. შედგით ცეცხლზე და ხარშეთ სულ 10-15 წუთს. შემდეგ გააცივეთ და გაწურეთ. ტაფაზე ერბოში მოხრაკეთ დაჭრილი ხახვი და ოხრახუში, შემდეგ შეურიეთ ისპანახი. კარგად რომ მოიშუშება, დაასხით კარგად ათქვეფილი 2-3 კვერცხი, სუფრაზე მიტანის დროს მოაყარეთ წვრილად დაკეპილი ქინძი. ისპანახის ნახარშ წყალში გადადის ვიტამინებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების ნაწილი, ამიტომ ნახარში არ გადაღვაროთ და გამოიყენეთ მწვანე შჩის მოსამზადებლად.

მასალა:

თუ ისპანახი დარჩევის შემდეგ ერთი კილოგრამი იქნება, აიღეთ 2—3 სუფრის კოვზი ერბო და 200 გრ ხახვი.

ამავე წესით მოხარშული და კარგად გაწურული ისპანახი შეგიძლიათ შეაზავოთ ნიგვზითა და ძმრით. იმავე რაოდენობის ისპანახზე აიღეთ 2/3 ჩაის ჭიქა დანაყილი ან გატარებული ნიგოზი, ნიორი, მარილი, მწვანილი, წიწაკა და ძმარი, თქვენი გემოვნებით.

ერბო-კვერცხით შეზავებულ ისპანახს სუფრაზე ცხლად მიიტანთ, ნიგვზითა და ძმრით შეზავებულს კი — ცივად.

ისპანახი ერბო-კვერცხით შეგიძლიათ სხვანაირადაც მოამზადოთ.

დარჩეული, გარეცხილი, დაჭრილი ისპანახი ორთქლში მოხარშეთ, შემდეგ ჩათუთქეთ ერბოში ან ზეთში მოხრაკულ ხახვთან ერთად, მოასხით ათქვეფილი კვერცხი, 3-4 წუთს გააჩერეთ ნელ ცეცხლზე. სუფრაზე მიიტანეთ ცხლად. 1 კილოგრამ ისპანახზე აიღეთ 3 სუფრის კოვზი ერბო, ან ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი, 3—4 თავი ხახვი და 3 კვერცხი.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 7. მხოფლიო სული ინდურ მითოლოგიაში. 8. საბალეტო ცეკვის ილეთი. 9. ესპანელი ქართველოლოგი. 12. კეთილსურნელება. 13. საკურთხევლის წინ ამაღლებული ადგილი ეკლესიაში. 14. დიპლომატიური რანგი. 16. სახელმწიფოების, პარტიების კავშირი, გაერთიანება. 17. რომის პაპის სახელით გაცემული ცოდვების მიტევების სიგელი. 18. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 19. დიდსულოვანი ადამიანი. 22. ქართველი მწერალი. 25. წარმართული ღვთაების ქანდაკება. 26. მინის მსგავსი გაუმჭვირვალე მასა, მინანქარი. 27. ფორტეპიანოს ავტომატური დასაკრავი მოწყობილობა. 29. ჭიქის მსგავსი დანაყოფებიანი ჭურჭელი სითხის რაოდენობის გასაზომად. 30. სხვა სამკურნალო დაწესებულებაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული ექიმი. 31. გერმანული ფირმა. 32. ცხოველებისა და ფრინველების სათავსი.

**შვეულად:** 1. საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები. 2. ნაქარგი ან გრაფიკული სამკაული. 3. რუსეთის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. 4. ტალინის საფრო რეგატის თილისმა. 5. ლატვიის ქალაქი. 6. მექანიკის ნაწილი. 10. სამკურნალო დაწესებულება. 11. საჭიდაო მოედანი. 12. ქართველი ბალერინა. 15. ქართული კონიაკი. 16. ორ წელიწადში ერთხელ გამართული საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი. 20. საეკლესიო ტაძარი თბილისში. 21. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში. 22. ცალკეული შემთხვევა. მომხდარი ამბავი. 23. მონარქიული სახელმწიფო. 24. საფრენი აპარატი. 27. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა. 28. პროვინცია ალ. ჩინეთში.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
99-98-71;
99-71-68

მასალები გადაეცა ასაწყობად 15.02.91 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.04.91 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 100 000. შეკვ. 856.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სუფთა სინდისით“

● მერილ სტრიპი



შესანიშნავმა ამერიკელმა მსახიობმა მერილ სტრიპმა (ჩვენს მაყურებელს იგი უთუოდ დაამახსოვრდებოდა ფილმებიდან „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“ და „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“, გაიმარჯვა საკმაოდ მკაცრ შესარჩევ კონკურსში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბარბარა სტრეიზანდი, ლაიზა მინელი და უცხოეთის კინოს სხვა პოპულარული ვარსკვლავები. მან მოიპოვა უფლება ეთამაშა ლეგენდარული ევა პერონის როლი ოლივერ სტოუნის ახალ სურათში „ევიტა“. ფილმი ენდრიუ ლოიდ ვებერის საყოველთაოდ გახმაურებული მიუზიკლის საფუძველზე იქმნება.

არც ისე დიდი ხნის წინ თავის ქმართან დონალდ გამერთან ერთად მერილ სტრიპმა ლოსანჯელესში იყიდა ესპანური სტილით ნაგები სახლი. იგი არასოდეს მალავდა თავის განსაკუთრებულ სიმპათიას ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი სანაპიროებისადმი, მაგრამ ეს შენაძენი, რომელიც მათ სამი მილიონი დოლარი დაუჯდათ, უფრო აუცილებლობით იყო განპირობებული. სწორედ აქ მიმდინარეობდა გადაღებები კომიკური სასიყვარულო ისტორიისა „შენი ცხოვრების დამცველი“. მასში მერილ სტრიპს პარტნიორობას ალბერტ ბრუსკი უწევდა.

მ. სტრიპი სახელგანთქმული ფრანგი კინოვარსკვლავის ბრიჟიტ ბარდოს დარად, (რომელმაც თავისი ცხოვრება ცხოველთა დაცვის საქმეს მიუძღვნა), მწვავედ არის დაინტერესებული საზოგადოებრივი პრობლემებით. კინოსურათში „სილკვუდი“ იგი შთამბეჭდავად ასრულებს ბირთვული იარაღის წარმოების წინააღმდეგ მებრძოლი პროფკავშირის აქტივისტის როლს. დღეისათვის მერილი სათავეში უდგას საკვებში ნიტრატების შემცველობის შემცირებისათვის გაჩაღებულ მოძრაობას. მსახიობმა თქვა: „როგორც დედას (მერილ სტრიპი სამი შვილის დედაა), ჩემს მოვალეობად მიმაჩნია დავრაზმო საზოგადოება იმ საფრთხის წინააღმდეგ, ჩვენს შვილებს რომ ემუქრება. ბოლოსდაბოლოს, სხვაც რომ არა იყოს რა, მინდა სუფთა სინდისით შევდიოდე მაღაზიებში საყიდლებისათვის.

# უცხოური კინოკალეიდოსკოპი

● ჟან-პოლ ბელმონდო





● კატრინ დენევი

## „იდეალური ოჯახი“ ფრანგულად

როგორც ფრანს-პრესის სააგენტო იუწყებოდა, მაყურებელთა გამოკითხვის შედეგებით „იდეალური ფრანგული ოჯახი“, რომელიც კინოვარსკვლავებისაგან შედგება, ასე გამოიყურება: ფილიპ ნუარე — ბაბუა, დენიზ გრეი — ბებია, ჟან-პოლ ბელმონდო და კატრინ დენევი მამა და დედა, დანიელ ოტეი და ემანუელ ბერტი — მათი ქალ-ვაჟი.

საინტერესოა, როგორი იქნებოდა ქართული კინო-ოჯახი ჩვენი მაყურებლების აზრით. იქნებ ჩაგვეტარებინა ასეთივე გამოკითხვა?

პრესის მასალების მიხედვით მოამზადა
**ლია ენუქიძემ**

სამწუხაროდ, რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, წინა ნომრები დაგვიანებით გამოვიდა, რის გამოც მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

რუსთავის საწარმოო გაერთიანება

# „აზოტში"

გერმანულ ფირმა

## „კუნეს"

წარმომადგენლებთან შეთანხმებით შეიქმნა კოსმეტიკური ფანქრების ერთობლივი საწარმო, რომლის პროდუქციაც ევროპული სტანდარტების დონეზეა. ახლო მომავალში საწარმოს პროფილი გაფართოვდება, პროდუქციის ასორტიმენტი კი გაიზრდება. ქართველი სპეციალისტების მიერ დამზადებული კოსმეტიკური ნაწარმი ფერთა სილამაზით, პრაქტიკულობით და ესთეტიკური მიმზიდველობით ყველაზე ჭირვეულ ქალბატონებსაც კი მოხიბლავს.



დავით იაკობაშვილის ფოტო

ინდექსი 76178

ფასი 50 კაპ.

6195/58.